645
964/2

ა. სარსარი. ვ. ი. ლენინი

ვ. რუხაძე-ზასლავ. ბრიგადელი

საქართველოს ქალი

№ 4 1964 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამბროლაურის რაიონში, მდინარე ლუხუმის ხეობაში მდებარეობს ქიმიის მრეწველობის ეროერთი ახალი წარმოება—რაჭის სამთო-მეტალურგიული კომბინატი.

აქ, სოფელ ურავში მზადდება უძვირფასესი ქიმიური ნედლეული—განსაკუთრებული სიწმინდის მეტალური დარიშხანი, რომელიც გამოიყენება მეტალურგიაში, ფარმაკოლოგიაში და სოფლის მეურნეობაში.

სურათზე: განსაკუთრებული სიწმინდის დარიშხანის საამქროს მოწინავე მეაპარატე კომკავშირელი მედიკო კაცლაშვილი.

ფოტო ს. კილაძის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნ. ს. ხრუშჩოვი

(დაბადების 70 წელი)

საქ. სსრ სახელმწიფო
ფილარმონიის
ბიბლიოთეკა

საბჭოთა აზერბაიჯანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქალთა ჟურნალი „აზერბაიჯან გადინი“
სტუმრად ჩვენს რედაქციაში

დიდი ქალაქის ქალაქი

არც ისე დიდი ხნის წინათ აქ იყო მზისგან გადამწვარი სტეპი და ქვიშა. დღეს კი ეს მშვენიერი ქალაქი, როგორც ჩვეულებრივ უწოდებენ კასპიისპირა კომსომოლსკი, გადაშიმულია კასპიის ზღვის სანაპიროზე თავისი მაღალი, ლამაზი საცხოვრებელი სახლებით, კულტურის სასახლეებით, კლუბებით, სკოლებით, ტექნიკუმებით, სტადიონებითა და ბაღებით.

არც ისე დიდი ხნის წინათ სუმგაითში ვ. ი. ლენინის სახელობის მილსაგლინავი ქარხანა ერთადერთი სამრეწველო საწარმო იყო, რომელიც იძლეოდა პროდუქციას. მისი კორპუსების გვერდით აღიმართნენ ალუმინის ქარხნის მაღალი კორპუსები, შორს, სტეპში დამკვიდრდა სუმგაითის სინთეტიკური კაუჩუკის ქარხნისა და ამიერკავკასიის უმსხვილესი სუპერფოსფატების ქარხნის დანადგარები, მთელი გაქანებით შენდება უზარმაზარი ნავთობქიმიური კომბინატი, შუშის ქარხანა და სხვა.

სუმგაითი გახდა ჩვენი რესპუბლიკის დიდი სამრეწველო და კულტურული ცენტრი. უცხოეთის მრავალ ქვეყანაში მიდის ამ ქალაქის პროდუქცია. მოძმე დემოკრატიულ რესპუბლიკებში იგზავნება ფოლადის მილები, კაუჩუკი, ალუმინი და სხვა. ვინც ერთი ორი წლის წინ ყოფილა სუმგაითში, დღეს ვერ იცნობს მას, როცა ნახავს უდიდეს და საოცარ გარდაქმნებს.

ქალაქში გავლისას თქვენ შეხვდებით სრულიად ახალგაზრდა სახეებს და აგრეთვე, ისეთ სახეებსაც, რომლებზეც ალბეჭდილია ნაოჭები, ხშირი და ღრმა ფიქრების მოწამენი. ქალაქს ბყავს ისეთი შესანიშნავი ადამიანები, როგორიც არიან მილმგლინავი, სოციალისტური შრომის გმირი, აზერბაიჯანის სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ზამინა ბასანოვა, სახელგანთქმული მეფოლადე, სოციალისტური შრომის გმირი მურად ზეინალოვი, ცნობილი კალატოზი, სოციალისტური შრომის გმირი ასლან ოსიანოვი და მრავალი სხვა.

სუმგაითი სრულიად ახალგაზრდა, 14 წლის ქალაქია. იგი იბრძვის კომუნისტური შრომის ქალაქის სახელისათვის.

2

რ. ფაიტისოვიჩი

1

ზამინა ჰასანოვა — აზერბაიჯანის მილსაგლინავი ქარხნის უფროსი მომთუთიებელი — პირველი ქალია სუმგაითში, რომელსაც მიენიჭა სოციალისტური შრომის გმირის წოდება (ფოტო № 1).

ახალგაზრდა სოციალისტურ ქალაქში, სუმგაითში სამედიცინო პერსონალის რიცხვი ათას ხუთასამდე აღწევს. მედიცინის მუშაკთა საქალაქო პროფკავშირის თავმჯდომარედ საზოგადოებრივ საწყისებზე არჩეულია საქალაქო საბჭოს დეპუტატი, სამშობიარო სახლის მთავარი ექიმის მოადგილე ხალიდა მამედოვა (ფოტო № 2).

ყოველდღიუოად ერთნახევარ ნორმას ასრულებს ნარგიზა ჰადჯიევა, საქსოვ-სამკერვალო ფაბრიკის მქსოველი. საწარმოს კომუნისტებმა მას დიდი ნდობა გამოუცხადეს და აირჩიეს პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნად (ფოტო № 3).

ქალაქ სუმგაითის სახალხო მოსამართლეს ნ. ტაგი-ზადეს ხშირად შეხვდებით საწარმოებსა და მშენებლობებზე, სადაც უსმენს მომჩივრებს, კითხულობს ლექციებს (ფოტო № 4).

პარტიის სუმგაითის საქალაქო კომიტეტში საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობს ქალთა საბჭო, რომელიც ეწევა დიდ საზოგადოებრივ მუშაობას ქალაქის ქალთა შორის. № 5 სურათზე თქვენ ხედავთ ქალთა საბჭოს წევრებს (მარცხნიდან მარჯვნივ) ნ. ნასრულა-უზის, ტ. რასულოვას, ნ. მურსალოვას და მ. გაშჩიმოვას.

სუმგაითის საქალაქო აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი გ. მამედოვა (ფოტო № 6).

სუმგაითის ყველაზე ნორჩი მცხოვრებნი (ფოტო № 7).

შაფიგა კაფაროვა 30-ე საბავშვო ბაღში სამუშაოდ ამ ცოტა ხნის წინათ მოვიდა, მაგრამ ის უკვე საუკეთესო აღმზრდელად აღიარეს (ფოტო № 8).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოვატორები

კომუნიზმის მშენებლობის სხვადასხვა უბნებზე მრავლად არიან მოწინავენი — რაციონალიზატორები და გამომგონებლები. ერთერთი ასეთი ჯგუფი XXII პარტყრილობის სახელობის ბაქოს ნავთობგადამმუშავებელ ქარხანაში მუშაობს. ეს ქარხანა ჩვენს ქვეყანას ორმოცდაორი სახეობის ნავთობის პროდუქციას აძლევს. იმ ეკონომიის ანგარიშში, რომელიც მიიღეს წარმოებაში რაციონალიზატორული წინადადებების შედეგად, ქარხანამ შვიდწლიანი გეგმა ჯერ კიდევ 1962 წლის დეკემბერში შეასრულა. ქარხანაში ორი ათასზე მეტი გამომგონებელი და რაციონალიზატორია. შრომისმოყვარე ადამიანებმა 1963 წელს შვიდი თვის განმავლობაში 406 რაციონალიზატორული წინადადება შემოიტანეს. მათ შორის 309 წინადადება დანერგილია წარმოებაში. ამის შედეგად დაზოგილია 170 ათასი მანეთი.

ქარხნის საპატიო ადამიანებს შორის ქალებიც არიან. მათ შრომისმოყვარეობას და დაუღალავ ენთუზიაზმს მოძრაობაში მოჰყავს წარმოების მექანიზმი. ამ ადამიანებს ეკითხებიან, მათ ნებას მიჰყვებიან. ისინი სცვლიან და ახალისებენ იმ მექანიზმს, რომელიც მოგვცეს ძველმა, გამოცდილმა ინჟინრებმა და ტექნიკოსებმა.



ლითოგრაფიები

აზერბაიჯანელი მხატვარი ქალის მარჯ რახმანზადეს

...როცა ქარხანაში მივედი, ჰურუ აიბოვა ვიკითხე. მითხრეს, რომ იგი შვებულებაშიაო. ბევრი რამ გამეგონა ამ ცნობილ რაციონალიზატორზე. ყოველთვის შემეძლო დამეწერა მასზე, მაგრამ პირადად მინდოდა მესაუბრა მასთან.

— ქარხანაში ვისაც არ უნდა ჰკითხოთ მის შესახებ, ყველა გეტყვით, — მითხრა ქარხნის პარტორგანიზაციის მდივანმა ე. შიხალიევმა,— იგი ჩვენი ქარხნის სიამაყეა. უკვე ოცი წელია, რაც ამ ქარხანაში მუშაობს.

...ომის მძიმე დღეები. მორცხვი ქალიშვილი ჰურუ ქარხანაში მოვიდა. ახალგაზრდა გოგონას დიდი ზრუნვა და დახმარება გაუწიეს. წლებმა ჰურუ გაზარდა, მიაჩვია წარმოებას.

ნავთობისა და ქიმიის ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ, მას შემდეგ, რაც ჰურუს ინჟინერ-ტექნოლოგის წოდება მიეკუთვნა, ხალისი მოემატა. იგი უბრალო ოპერატორის თანაშემწიდან საამქროს მთავარ ინჟინრამდე ამაღლდა. ახლა ჰურუ მეორე საამქროს უფროსია. კომუნისტური საამქროს სახელის მატარებელი კოლექტივის წევრთა უმრავლესობა ნოვატორია. რაციონალიზატორთა საბჭოს ხელმძღვანელი ჰურუ აიბოვაა. იგი მრავალი რაციონალიზატორული წინადადების ავტორია. ბოლო სამი წლის განმავლობაში ათზე მეტი წინადადება წამოაყენა. ერთერთი ამ წინადადების დანერგვით 4 ათასი მანეთი დაეზოგა სახელმწიფოს.

ადრე ექტრატულ მილში მიმდინარე სითხის სიჩქარე იცვლებოდა და წარმოიქმნებოდა კოქსი. ამ საკითხზე ყველაზე მეტად ფიქრობდა ჰურუ. მან ბევრი იფიქრა, თუ როგორ მოეხდინა სითხის რეგულირება ისე, რომ მიეღოთ ზომები კოქსის უარსაყოფად. ამისათვის საჭირო გახდა წნევის დაქვეითება ექტრატის კოლონებში. მან შესცვალა ექტრატის ღუმელების სისტემა.

უძილო ღამეებმა, ძიებამ, ხანგრძლივმა ფიქრმა ნაყოფი გამოიღო. ჰურუ აიბოვას წინადადება ქარხნის რაციონალიზატორთა საბჭოზე ყველას მოეწონა. არ გასულა დიდი დრო და ეს წინადადება დანერგეს წარმოებაში. ამის შემდეგ ღუმელების რემონტი შემცირდა.

...ქარხნის რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა საბჭოს მთავარმა ინჟინერმა მესამე საამქროში მიგვიყვანა.

— შუქუფე ალექბეროვა — საამქროს უფროსი — გთხოვთ იცნობდეთ! — გვითხრა მან. შუქუფეს 1951 წლიდან ვიცნობ. ერთად დავამთავრეთ აზერბაიჯანის ნავთობ-ქიმიური ინსტიტუტი და ერთად მოვხვდით ქარხანაში. მაშინ დაიწყო შუქუფემ შრომითი მოღვაწეობა, იგი დაეუფლა მეცნიერულ-ტექნიკურ ცოდნას და მრავალი რაციონალიზატორული წინადადება წამოაყენა. მისი წინადადებით კამერული კონვენციის ნაწილებს ორმოცდაათამდე მილი მიემატა და 100-150 ტონით გაიზარდა პროდუქციის რაოდენობა. შუქუფე ალექბეროვას უშუალო ხელმძღვანელობით ათი ქალი დაწინაურდა. ზარიფე შირალიევა, ვიქტორია მელქუმოვა, ნადეჟდა აბაევა, ტოსია შირშიკოვა შუქუფე ალექბეროვას გამოზრდილები არიან. ეს გოგონები მარტო კარგი მუშაობით კი არ კმაყოფილდებიან, არამედ ყოველთვის ცდილობენ რაღაც ახალი და კარგი გამოიგონონ და ნოვატორებს [illegible] ამოუდგნენ.

შუქუფე ალექბეროვამ გაგვაცნო ნავთობგადამმუშავებელი საამქროს მუშაობა, გვიამბო წარმოების მოწინავეებზე. 306-ე აპარატურაში შეგვხვდა შავგვრემანი, კეთილი სახის, მაღალი ქალიშვილი.

— აი, ამაზე დაწერეთ! ცეცხლივით გოგოა! მისი აპარატი საათივით მუშაობს. საწარმოო გეგმას ყოველთვის გადაჭარბებით ასრულებს.

— შემთხვევითი როდია, რომ ზუმრუდ ისლამოვაც აზერბაიჯანის ნავთობქიმიური ინსტიტუტის აღზრდილია, — მითხრა თანამოსაუბრემ და საამქროს უფროსზე მიმითითა, — მან 1957 წელს დაამთავრა ინსტიტუტი, მოვიდა ქარხანაში, პირველი შრომითი გამოცდილება სოციალისტური შრომის გმირის ზეკი შუქუროვის საამქროში მიიღო. ახლა ისიც საამქროს უფროსია, ცდილობს საუკეთესო პროდუქცია გამოუშვას. ნავთობის ხარისხიანი პროდუქციისათვის საჭიროა დინების სქემაში მოვახდინოთ ცვლილებები. თანამედროვე ტექნიკით შექმნილ აპარატურაში, რომელიც წლების მანძილზე კარგად მუშაობს, უცებ ცვლილებების მოხდენა არც ისე ადვილი საქმეა.

ზუმრუდმა დიდხანს იფიქრა, ესაუბრა ქარხნის რაციონალიზატორებს და შეისწავლა ყველა მექანიზმი. სამუშაო საათების შემდეგ იჯდა და ხაზავდა დანადგარის სქემებს. ზოგიერთ ადგილას შეჰქონდა ცვლილებები. მიუხედავად იმისა, რომ მიზანს ადვილად ვერ მიაღწია, იმედი არ დაუკარგავს.

ერთ დღეს კი შეკრიბა ნავთობგადამმუშავებლები და ასე მიმართა:

— ჩვენ სითხის მიმართულება უნდა შევცვალოთ მილში. მე მიმაჩნია, რომ ეს გაუუმჯობესებს სითხის ხარისხს.

ზუმრუდის წინადადება სიხარულით მიიღეს.

...ექვსი თვე გავიდა, ეს რაციონალიზატორული წინადადება დანერგეს წარმოებაში და კარგი შედეგიც გამოიღო. მიიღეს პროდუქცია მეტი და ხარისხიანი. შეუმსუბუქდათ მუშაობა ოპერატორებს.

ქარხნის სხვა ნოვატორმა ქალებმა — საცდელი საამქროს უფროსმა არშალუს გახრამანოვამ, საპროექტო ბიუროს უფროსმა ზაჰრა აბულოვამ და სხვებმა თავიანთი წინადადებებით ათასობით მანეთი დაუზოგეს სახელმწიფოს.

ქარხანაში დღითიდღე იზრდება რაციონალიზატორ ქალთა რიცხვი, რომლებსაც თავიანთი მარჯვენითა და საღი გონებით წინ მიჰყავთ საქმე.

საბირ მამედოვი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკუთარს

ნიგარ რაფინგაილი

ე შენს კალთაში ვსუნთქავ, დედაო, შენს თბილ
მკერდში.
ღე, შენზე ფიქრით თეთრად ეს ღამეც გავათენო.
ამულო!—
იხარულო, გონებავ, გრძნობავ, ეშხო
ა თვალის ჩინო ჩემო!

მარად და მარად შენკენ ვიწვდი ოცნებით ხელებს.
მაღლა კაშკაშებს ლურჯად შენი ელვარე თაღი.
ძირს, შენს მიწაზე ვაგებთ მშვიდობის სასახლეებს,
ვართ ამაყები,
უხვნი,
პატიოსანნი,
ლაღნი!

საუკუნეებს მოაქვს ჰიმნი, რომელსაც ვისმენთ:
არ დავივიწყოთ, არა, წარსულ ბრძოლათა ალი.
ერთად ვიმღეროთ, დებო, გზას გაგვიშუქებს მზისკენ
კაცობრიობის ხვალე, ნათელი მომავალი.

შენია, რარიგ გშვენის ჩვენი ლამაზი წლები,
შენ ხარ იმედი ხალხთა, შენ ხარ მშვიდობის ბურჯი.
სამყაროს ესმის შენი სიმღერა გამარჯვების,
სიმღერა ჩემი დების:
რუსის, სომეხის, გურჯის!

აზერბაიჯანულიდან თარგმნა
ბაირამ ჰუსეინოვმა

ბედნიერების სასახლე

„ბედნიერების სასახლე“ — რა კარგი სახელი დაურქმევიათ! იგი
ართლაც ზღაპრებში გაგონილ ლეგენდარულ სასახლეს მოგვაგო-
ებს. მაგრამ ეს ბედნიერების სასახლე ის სასახლე როდია, რომელ-
აც ხალხი საუკუნეების მანძილზე მხოლოდ ოცნებებში ზრდიდა
ა აცოცხლებდა.

ჩვენს დედაქალაქში, იქ, სადაც ე. გარაევასა და პოლუხინის ქუ-
ები ერთმანეთს ჰკვეთს, ერთი ლამაზი შენობა დგას. ეს არის „ბე-
ნიერების სასახლე“. ოდესღაც იგი ალი ბაირამოვის სახელობის
ქალთა კლუბი იყო. მან დიდი როლი შეასრულა აზერბაიჯანელ ქალ-
თა ცხოვრებაში.

ახლა ეს შენობა ფართოდ უღებს კარს ჩვენს ქალიშვილებსა და
ჭაბუკებს, იმ დედებისა და ბებიების შვილებსა და შვილიშვილებს,
რომლებმაც აქ მოიხადეს ჩადრი და ახალ ხელობას, ახალ პროფე-
სიას დაეუფლენ.

ყოველი ახალგაზრდა, რომელსაც სურს თავისი ბედი მეორის
ბედს დაუკავშიროს, შექმნას ბედნიერი ოჯახი და დაიწყოს ახალი,
ლამაზი ცხოვრება, საქორწინოდ აქ მოდის.



ეროვნული ბიბლიოთეკა

გამარჯობა, დედა!

— დაო, გოვჰარ, გაახილე თვალი, ვაჟიშვილი შეგეძინა!

დედამ ნელ-ნელა ასწია ქუთუთოები და დაინახა თავისი პირმშო, რომელიც ბებია ქალს ხელში ეჭირა მის საწოლთან.

გოვჰარის გაფითრებულ სახეს ბედნიერების ღიმილმა გადაურბინა და გაცრეცილი ბაგეები ღიმილით აუთრთოლდა.

— გმადლობთ, დებო!... — აღმოხდა ქალს.

ოთხი ქალიშვილის შემდეგ ბოლოს და ბოლოს ვაჟიშვილი დაიბადა. დედას გუშინდელი და დღევანდელი ტკივილები დაავიწყდა; თვალი გააყოლა მედიცინის დას, რომელსაც შეფუთული ბავშვი მიჰყავდა და გუნებაში გაიფიქრა: ახლა უკვე ასმათს, სეხავათს, მელაჰათს და პატარა რუგიას ძმა ჰყავთ!...

გოვჰარ გულიევას ფიქრი წამით ბუზოვნაში — ,ინისაკენ გაექცა. წარმოიდგინა თავისი სახლი, ეზო და უცებ შეაკრთოლა. ბახშიჯანი ალბათ სამუშაოზეა და ბავშვები მარტონი იქნებიან. ვინ იცის, იქნებ... ასანთი გაკრან, ან დანით გაიჭრან ხელი...

დედის ბედნიერებით გასხივოსნებულ სახეს ნაღველი გადაეფარა, როცა გაახსენდა, რომ შინ დარჩენილ ბავშვებიდან ყველაზე დიდი 9—10 წლისაა. გულში ტკივილი იგრძნო...

გოვჰარმა იცოდა, რომ მისი მეუღლე ბახშიჯან გულიევი, რომელიც ბუზოვნანევთის სარეწში ბორბლებზე შემდგარ ავტოკიოსკში მუშაობდა, არაფრის გულისათვის არ მიატოვებდა სამუშაოს. „მენავთობეები მელოდებიან, რომ არ მივუტანო საჭირო ნივთები, როგორ იმუშავებენ?“ — ეს სიტყვები ხშირად მოუსმენია მეუღლისაგან.

...როგორც კი ჰაერი ცოტა გათბა, აგარაკ ბუზოვნას ბაღჩაში ერთ დილას ბიქეს ბავშვის ტირილი შემოესმა. ქალმა იქით გაიხედა, საიდანაც ხმა ესმოდა. ვერც გოვჰარი და ვერც მისი მეუღლე ეზოში ვერ დაინახა. პატარა ასმათი ოთახში შერბოდა და გამორბოდა, ცდილობდა თავისი პატარა დაიკო დაემშვიდებინა, მაგრამ ვერაფერს აწყობდა.

„სად წავიდნენ, ნეტავი?“ გაიფიქრა ქალმა, ბაღჩაში დაკრეფილი რეჰანი აივანზე დაყარა და მეზობელ ეზოსაკენ გაეშურა.

— გოვჰარ! ბახშიჯან! — რამდენჯერმე დაიძახა მან.

ძახილზე ასმათი გამოვიდა.

— შვილო, სად არის დედაშენი? ბავშვი რატომ ტირის?

— დედა საავადმყოფოში წაიყვანეს. მამა სამუშაოზეა. რუგიას დედა უნდა...

პატარა რუგია პერანგისამარა კედელთან მიმჯდარიყო და ტიროდა: „დედა მინდა!...“

ბიქეს გული ეტკინა ამ სურათის დანახვაზე, მივიდა და ბავშვი ხელში აიყვანა. ბავშვმა უფრო მოუმატა ტირილს. ბიქემ გულთან მიიკრა ბავშვი და მოეფერა. მერე ასმათს მიუბრუნდა:

— გოგო, წყალი მომიტანე. ბავშვს ხელ-პირი უნდა დავბანო და გავალამაზო. ხედავ, რა კარგი გოგოა, აღარ ტირის.

ასმათმა წყალი მიუტანა. ბიქემ დაბანა ბავშვი.

— ახლა კაბა და ფეხსაცმელები მომიტანე.

ბიქემ ყველა ბავშვი წესრიგში მოიყვანა: ზოგს ტანსაცმელი გამოუცვალა, ზოგს თმა დაუვარცხნა.

— დღეს ისაუზმეთ?

ასმათმა დარცხვენით თავი ჩაღუნა.

სეხავათი წინ წამოდგა და უფროს დაზე დაიჩივლა:

— ასმათს ქურის ანთება არ შეუძლია, რომ ჩაი დაადგას. მე ვიცი ანთება, მაგრამ ასანთს არ მაძლევს.

— დედამ თქვა, ასანთი არავის მისცეო, თორემ დაიწვებაო.

— მართალია, ბავშვებმა ასანთს ხელი არ უნდა ახლონ! — უთხრა ბიქემ ბავშვებს და ასმათს თავზე ხელი გადაუსვა, — მომიტანეთ ასანთი, ახლავე დაგიდგამთ ჩაის.

ვიდრე ჩაი ადუღდებოდა, ბიქემ ოთახი მიალაგ-მოალაგა. ბავშვები კი თამაშობდნენ.

— ამ ხორცით სადილს გავაკეთებ, თორემ გაფუჭდება. დედასაც ხომ უნდა წავუღოთ სადილი, — თქვა ბიქემ, კარადიდან ხორცი გამოიღო და დაჭრა დაუწყო. ამ დროს მანქანის ხმაც გაისმა.

— მამა მოვიდა, მამა მოვიდა! — სიხარულით შეჰყვირეს ბავშვებმა და ეზოში ჩავიდნენ.

ბახშიჯანმა ეზოში ბოლი შენიშნა, სასწრაფოდ გადმოვიდა მანქანიდან და სახლისაკენ გაეშურა.

— გამარჯობა, დაო ბიქე! — მიმართა ბახშიჯანმა, როგორც კი მეზობელ ქალს მოჰკრა თვალი და გული დაუმშვიდდა, — მე კი როგორ მოვქროდი, ბავშვების დარდმა აღარ მომასვენა.

— გოვჰარი როგორ არის, შეეძინა რამე?

— გმადლობთ, — უთხრა ბახშიჯანმა და გაწითლდა, — ვაჟი შეგვეძინა!

— მომილოცავს, გაგეზარდოთ! რა კარგია!

ბიქემ სადილი მოამზადა და ყველას დაუძახა.

— მიირთვით, შეგერგოთ! გოვჰარსაც წაუღეთ და გადაეცით: — შვილების ჯავრი არა გქონდეს, სანამ გამოგწერენ, ყოველდღე აქ ვიქნები-თქო.

ბახშიჯანმა ცოტა შეჭამა და წამოდგა. გულში რაღაც სიმსუბუქე და კმაყოფილება იგრძნო.

„რა კეთილია ხალხი! ფიქრობდა იგი, — ბიქეს ხომ თავისი შვილებიც ჰყავს...“

* * *

როცა გოვჰარი საავადმყოფოდან გამოსწერეს, თავისი ტანსაცმლის გარდა კიდევ ერთი შეკვრა გადასცეს, რომელშიც ბავშვის თეთრეული იყო. — იქნებ ეს ჩემი არ არის! — უთხრა მომვლელ ქალს გოვჰარმა.

— თქვენმა მეუღლემ გადმოგვცა, — მიუგეს მას.

როცა მანქანაში ჩასხდნენ, გოვჰარმა ბახშიჯანს თეთრეულის ამბავი ჰკითხა.

— ეს ბიქე ბაჯიმ გამოგიგზავნა. ჩვენ კი მაგ ქალს სულაც არ ვიცნობდით. რა დიდებული ადამიანი ყოფილა! რა ამაგი დასდო ჩვენს შვილებს!

როცა გოვჰარი შინ მოვიდა, მეუღლის სიტყვები გამართლდა. ბავშვები სუფთად ჩაცმულნი და მოვლილნი დახვდნენ, ოთახი მილაგებული, ეზო დაგვილ-დასუფთავებული. ქურაზე ცხელი ჩაი იდგა. სეხავათის საკაბე, რომელიც საავადმყოფოში წასვლამდე დაუჭრა გოვჰარმა, ახლა ბავშვს უკვე ზედ ეცვა.

გოვჰარი თავის შვილებზე უმალ ბიქეს გადაეხვია და აკოცა.

— დიდი მადლობა, ძვირფასო დაო, არ ვიცი, როგორ გადაგიხადო მადლობა.

— რა სათქმელია, უბრალოდ ჩემი მეზობლური მოვალეობა მოვიხადე. შენ რომ ჩემს ადგილას ყოფილიყავი, განა ასევე არ მოიქცეოდი?

რედაქციისაგან:

კარგი, მეზობლური დამოკიდებულება ადამიანს ზოგჯერ ბედნიერს ხდის, ზოგჯერ კი პირიქით: ცუდი სიტყვა, თუ ცუდი დამოკიდებულება გულს უგმირავს მას.

როგორც წესი, ჟურნალ-გაზეთებში ხშირად გვხვდება წერილები, რომლებშიც მხილებულია ადამიანთა უპატივცემულო, არაკეთილშობილური დამოკიდებულება მეგობრისადმი, ამხანაგისადმი, საკუთარი ოჯახისადმი. მაგრამ კარგ საქციელზე, კარგ გამოსვლაზე იშვიათად წერენ. დიდი ხანია დადგა დრო, რომ კარგ ადამიანებზე, მათ კარგ დამოკიდებულებაზე მოვუთხროთ მკითხველებს.

თბილისელი ოჯახური ხელოვანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესანიშნავია! — ასე ამბობს ყველა, ვინც სიმა აღაევას მიერ შესრულებულ ნამუშევარს ნახავს.

აი, ოცდაცამეტი ნაჭრისაგან შემდგარი სერვიზი. როგორი იშვიათი გემოვნებით არის დამუშავებული ნაზი ორნამენტები შავ კერამიკაზე!

სიმა სულ ახალგაზრდაა. ამ რამდენიმე წლის წინ დაამთავრა აზიმ აზიმზადეს სახელობის სამხატვრო სასწავლებელი. იმავე წელს მასწავლებლების რჩევით სიმა თბილისის სამხატვრო აკადემიაში შევიდა. დიდი ამაგი დასდეს მას პროფესორმა დავით ციციშვილმა, დოცენტმა გოგი ქართველიშვილმა. აკადემიაში სწავლის დროს სიმა დიდ დროს ატარებდა ისტორიულ მუზეუმში და აწარმოებდა მეცნიერულ-საკვლევ მუშაობას, მონდომებით სწავლობდა მინგეჩაურის არქეოლოგიურ გათხრებს, აკვირდებოდა უძველესი ჭურჭლის ნამტვრევებზე გამოხატულ სახეებს.

სიმა აღაევამ წარმატებით დაამთავრა თბილისის სამხატვრო აკადემია 1963 წელს და მისმა სადიპლომო შრომამ — „სერვიზმა" მაღალი შეფასება მიიღო.

სულ რამდენიმე თვის წინ სიმა აღაევა ბაქოს დაუბრუნდა. იგი ერთადერთი მხატვარია, რომელიც ჩვენს რესპუბლიკაში შავი კერამიკის ჭურჭელს ამზადებს. მისი დამზადების საიდუმლოება კი ქართველმა მხატვრებმა გაუმჟღავნეს სიმას. მათ ხომ დიდხანს აწარმოეს მეცნიერული კვლევა არქეოლოგიური გათხრების დროს ნაპოვნ კერამიკულ ჭურჭელზე და ამოიცნეს მისი საიდუმლოებანი. ამის შემდეგ თბილისში ააგეს პირველი ქარხანა, რომელმაც შავი კერამიკის ტექნოლოგია აითვისა. ეს ერთადერთი ქარხანაა ჩვენს ქვეყანაში, რომელიც იშვიათ პროდუქციას — შავი კერამიკისაგან დამზადებულ ვაზებს, ფიალებს, სურებს, ლარნაკებს უშვებს.

სიმა აღაევამ ბაქოში ჩამოიტანა იმ შესანიშნავი ჭურჭლის დამზადების საიდუმლოებანი, რომელიც ასე ანაზებს და ამდიდრებს ადამიანის გემოვნებას, ამშვენებს ჩვენს ბინებს.

ბ. ბოჩაევა



ის უჯრა ცარიელი იყო

მოთხრობა

მე გულზე ვიხუტებ შვილის ხუჭუჭთმიან თავს და ვეუბნები:

— მომილოცავს. გაიზარდე დიდი.

ელჯანი კი, როგორც თავის ბავშვობაში იცოდა, მხარზე მეკვრის. მისი თვალები მსხვილ, გაფრენილ წარბებს ქვემოდან შავი ყურძნებივით ბრწყინავენ. ღიმილი აპობს მის დაბურცულ ტუჩებს, რის გამოც სასაცილოდ ჩანს ცხვირის ქვემოთ თხელი ულვაშები. ის მპასუხობს:

— დედიკო, კიდევ გავიზარდო? როგორღა შეიძლება მეტი!

— ჩემო შვილო, — ვეუბნები მე, — თუმც შენ მხარზე მწვდები, მაგრამ მგონია, ჯერ ისევ პატარა ხარ. ეს რომ ასე არ იყოს, განა შემოვინახავდი შენი დაბადების დღისთვის ამ ძვირფას საჩუქარს?

ელჯანი ბავშვური ცნობისმოყვარეობით ხსნის პაკეტს, მოუთმენლად ათვალიერებს, ნახულობს პატარა შეკვრას და შლის მას. შიგ შაქრის ნატეხია, მას მაშინვე მიაქვს პირისაკენ, წუწნის და სიამოვნებისაგან პირს აწკლაპუნებს, როგორც იცოდა ოცი წლის წინ. მე ვიცინი მთელი გულით.

და ელჯანის ყურძენივით შავ თვალებშიც სიცილი კიაფობს. ის მაღლა წევს ხელს გაშლილი საჩვენებელი თითით და საზეიმოდ აცხადებს:

— მაგრამ ის შაქარი მაინც უფრო ტკბილი იყო!

შაქრის ნატეხი... მე გიამბობთ თქვენ მასზე.

ოცი წლის წინ, სწორედ მისი დაბადების დღეს, სამსახურში წასვლისას მივეფერე ელჯანის ხუჭუჭთმიან თავს.

— რა გიყიდო, შვილო? — ვკითხე მას.

ელჯანი თბილ საწოლში იწვა, ნამძინარევი თვალებით მიყურებდა და დიდხანს დუმდა. ალბათ, ფიქრობდა, რა ეთხოვა. შემდეგ ხელი მომხვია კისერზე და მითხრა:

— დედიკო, მიყიდე, თუ შეიძლება, შაქრის ნატეხი.

— კარგი, შვილო, — შევპირდი მე. შევპირდი და შემეშინდა: დავუშვათ, რომ ვერ ვიშოვო მე ეს შაქრის ნატეხი.

ომი იყო. ფრონტზე იღუპებოდნენ ადამიანები. შემზარავი ამბავი ელვის სისწრაფით უვლიდა სახლებს. აკაკუნებდა ხან ერთ, ხან მეორე კარზე. ბავშვები ხშირად მშივრები წვებოდნენ და ძილის წინ კითხულობდნენ:

— დედა, ხვალ მოიტან პურს?

— დედა, ხვალ მომცემ შაქარს?

და ის მხიარული და ნათელი ოცნებები, რომლებიც ჩვეულებრივად ბავშვთა გულებში ცოცხლობენ, დასახლდნენ ერთ ნატეხ პურსა და შაქარში.

საღამოს, სამსახურიდან დაბრუნებისას, ჰოსპიტლისაკენ გავუხვიე. იქ ახლოს გავლისას მე შემინიშნავს, როგორ ცვლიდნენ დაჭრილი მებრძოლები თავიანთ სურსათის ნაწილს მახორკაზე.

ცივი ქარი ხვეტავდა მსუსხავ ქვიშას და პეშვებად აყრიდა გამვლელებს სახეში. ქუჩები ცარიელი იყო. ჰოსპიტლის გალავანთან, რკინის წნულზე ზურგმიყრდნობით, იდგა ქერათმიანი სერჟანტი. მაზარის ერთი სახელო ცარიელი იყო და მჩვარივით ეკიდა. ზოგჯერ ქარი შედიოდა სახელოში და იწყებდა მოძრაობას, ჯავრობდა, თითქოს ვიღაცას ემუქრებოდა.

მე ახლოს მივედი. სერჟანტს ცალ ხელში, რომელზეც მხოლოდ სამი თითი შერჩენოდა, გაზეთის პაკეტი ეჭირა. მე ვანიშნე პაკეტზე და ვკითხე:

— ძმობილო, შაქარი გაქვს?

სერჟანტი გაწითლდა, თვალაუღებლად მომაწოდა პაკეტი და მიპასუხა:

— დიახ, აიღეთ. მე მოსაწევი მინდა.

მე შევხედე შაქარს, შევამოწმე ჩემს ჯიბეში ხურდა და მივხვდი, რომ ეს ფული, რა თქმა უნდა, არ მეყოფოდა. მე ვუთხარი:

— არა, ეს ბევრია. მე მინდა მხოლოდ ორიოდე ნატეხი.

სერჟანტმა არაფერი არ მიპასუხა. მე ღრმად ამოვისუნთქე და თვითონაც არ ვიცი, როგორ მოხდა, რომ ვუთხარი:

— იცით რა, დღეს ჩემი ბიჭის დაბადების დღეა. მან ძალიან მთხოვა მეყიდა მისთვის შაქრის ნატეხი. და დახეთ უბედურებას, ფული არ მყოფნის.

სერჟანტმა, როგორც მომეჩვენა, მკაცრი მზერა მომავლო და ყრუ ხმით მკითხა:

— რამდენის გახდა თქვენი შვილი?

— სამი წლის.

ის ისე ჩააცქერდა მიწას, თითქოს რაღაცას ეძებდა ასფალტის ბზარში. მე უკვე გავშორდი კიდეც მას, რომ დამიძახა:

— სად მიდიხართ? შეჩერდით!

მან გულზე მიიხუტა პაკეტი, უხერხულად შეახვია სამი თითით და გამომიწოდა:

— აიღეთ, თქვენს შვილს წაუღეთ.

მე საჩქაროდ ამოვიღე პაკეტიდან ორი ნატეხი შაქარი, დანარჩენი უკან გავუწოდე და მაზარის ჯიბეში ფული ჩავუდევი.

სერჟანტი გვერდით მოტრიალდა, იდაყვით ჯიბეზე მიმითითა და ბრძანების კილოთი თქვა:

— უკან წაიღეთ თქვენი ფული.— და მან არც დაუცადა, როდის შევასრულებდი მის თხოვნას, უფრო სწორედ ბრძანებას, ჩაიყო სამთითიანი ხელი ჯიბეში, ამოიღო ფული, დაიღუნა და მკვეთრი მოძრაობით ჩამიდო ჩანთაში.

მე შევხედე. მან კი გაიღიმა ფართო ბავშვური ღიმილით, რაც ასე მოულოდნელი იყო მისი მკაცრი სახისათვის და თქვა:

— მიუტანეთ შვილს. ეს იყოს ძია სერჟანტის საჩუქარი.

— მაშინ მახორკა? — დაბნეულად ვიკითხე მე.

— სჯობია ის სულაც არ იყოს, — ჩაიქნია ხელი სერჟანტმა. — სულერთია, ექიმები მის გამო მაინც მაგინებენ. ნებას არ მაძლევენ, რომ მოვწიო.

იმ საღამოს მე და ჩემი შვილი ვისხედით მაგიდასთან და ვსვამდით ჩაის. ელჯანი ზედიზედ იდებდა პირში შაქრის ნატეხებს, სიამოვნებისაგან პირს აწკლაპუნებდა და ამბობდა:

— ტკბილი შაქარი ჰქონია ძია სერჟანტს.

მას შემდეგ, აი, ოცი წელი გავიდა და რაც არ უნდა მივულოცო მე ელჯანს მისი დაბადების დღეს, არასოდეს არ მავიწყდება ჩავდო ამ საჩუქარში შაქრის ნატეხი. თუმც მაგიდაზე დგას სავსე საშაქრე, ელჯანი იდებს პირში სწორედ ამ შაქარს, წუწნის და მერე ამბობს:

— ის მაინც უფრო ტკბილი იყო!

ალოვია გაბაევა

გალინა კუპატაძე

ჭიათურის რაიონის სოფელ პერევისაში ცხოვრობდა ძველი ბოლშევიკის, მაღაროს მუშის, სოლომონ კუპატაძის ოჯახი.

სოლომონს ექვსი შვილი ჰყავდა, ექვსივე შრომისმოყვარე. მათ შორის მაინც გალინა გამოირჩეოდა. იგი ბავშვობიდანვე ჩაება რევოლუციურ მუშაობაში. მოსწავლის ჩანთით ერთი სოფლიდან მეორეში გადაჰქონდა თბილისიდან და ქუთაისიდან მიღებული არალეგარული ლიტერატურა, ესწრებოდა არალეგარულ კრებებს, რომლის მოწყობა-მომზადებაში მისი მამა და უფროსი და-ძმები იღებდნენ მონაწილეობას. ხშირად გოგონას ავალებდნენ არალეგალური კრების მსვლელობისათვის ედარაჯნა. ღობის ძირას ჩაცუცქდებოდა იგი და თუ რაიმე საეჭვოს შეამჩნევდა, სიმღერას წამოიწყებდა, ვითომ თავისთვის, სინამდვილეში კი კრების მონაწილეებს აფრთხილებდა.



1927 წელს შევიდა გალინა სკკპ რიგებში. შემდეგ მუშაობდა პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ხელმძღვანელ სამუშაოებზე. სხვადასხვა დროს იყო პარტიის ჭიათურის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე, საბჭოთა ვაჭრობის მუშაკთა პროფკავშირის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი მაისის რაიკომის ქალთა განყოფილების გამგე, ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს ცაკ-ის ინსტრუქტორი, საქართველოს სარეწაო კავშირის საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე, არტელ „ზუსტი დროს“ თავმჯდომარე...

ყველგან, სადაც გალინა კუპატაძეს ფეხი დაუდგამს, სადაც კი უმუშავნია, სიყვარულითა და პატივისცემით იგონებენ მის სახელს.

ახლა გალინა კუპატაძე პენსიონერია. იგი შეხარის ჩვენს ბედნიერ ცხოვრებას, რომლის დამკვიდრებაში მას არამცირე წვლილი მიუძღვის.

ნანული გუკია

ნინო ახობაძე

— შეხედავ — ნაზი ქალია, საქმე კი ვაჟკაცური იცისო, — არცთუ იშვიათად გაიგონებდით იმ წლებში ნინო ახობაძეზე.

1925 წელი... მაშინ ნინო 19 წლის ქალიშვილი იყო, ლამაზი, მოხდენილი. რაჭა-ლეჩხუმში ყველას ყურადღება მიიპყრო მარტო გარეგნობით კი არა, საქმითაც; „ტუჩებზე ჯერ დედის რძე არ შეშრობოდა“ და უკვე მოესწრო ქუთაისის ერთწლიანი პარტიული სკოლის დამთავრება, სადაც სამტრედიის საქალაქო კომიტეტმა გაგზავნა.

სორისა და მექვენის თემების ქალთა ორგანიზატორად გაგზავნეს ახალბედა პარტიული მუშაკი. ნდობას გამართლება უნდოდა და ნინოსაც თავი არ დაუზოგავს. მისი იმდროინდელი მუშაობიდან განსაკუთრებით საგულისხმო ერთი დეტალი, რომელმაც ფრიად გაანაწყენა ჭინმე სორელი ქიშვარდი, დიდი და ძლიერი მემამულე.

...სორში, იმ ადგილის ახლოს, სადაც 50 ქალისაგან შემდგარი სადელეგატო პუნქტი იყო მოთავსებული, ცხოვრობდა მემამულე ქიშვარდი, რომელსაც უშველებელი ეზო ჰქონდა. ქალთა სადელეგატო პუნქტმა ადგილობრივ აღმასკომში დააყენა საკითხი მისთვის ეზოს ჩამოჭრის შესახებ. საქმე, რაღა თქმა უნდა, სადელეგატო პუნქტის სასარგებლოდ გადაწყდა. ჩამოჭრილი მიწა ქალებმა საკუთარი ხელით დაამუშავეს და იქ ბოსტნეული კულტურები დათესეს. მიდებული მოსავალი კი ქვრივ-ობლებს გაუნაწილეს.

ნინო, მართლაც, „გაჭირვების ტალკვესად“ მოევლინა სორისა და მექვენის ქვრივ-ობლებს. ვინც ღარიბი იყო ან სახლში მუშა-ხელი არ ჰყავდა, მაშინვე მისკენ გასწევდა, შველოდა ნაკვეთის დამუშავებაში, ყანის მკაში და სხვ.

1927 წელს ნინო ახობაძე კომუნისტური პარტიის რიგებში მიიღეს, 1928 წლიდან კი საცხოვრებლად თბილისში გადმოვიდა და აბრეშუმის საქსოვ ფაბრიკაში ქსელვის საამქროს ინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა. მაგრამ სოფელთან კავშირი მაინც არ გაუწყვეტია. ზაფხულობით რაჭაში სოფელ მუხლში ჩადიოდა და კოლმეურნე ქალების გვერდით ფიზიკურად შრომობდა საკოლმეურნეო ველ-მინდვრებზე.

1930 წელს მუხლის ოქტომბრის სახელობის კოლმეურნეობისთვის თბილისში სპეციალურად გააკეთებინა წითელი დროშა და ახალგაზრდა კოლმეურნეობას საჩუქრად გაუგზავნა. ხშირად უგზავნიდა აგრეთვე ახალ ჟურნალ-გაზეთებს, წიგნებს.

„ბოლშევიკური ავანთოთ ცეცხლი!“ — მოუწოდებდა ნინო ახობაძე ხუთწლედის გმირებს თავის ერთ-ერთ ლექსში, რომელიც ჟურნალ „მშრომელ ქალში“ დაიბეჭდა 1932 წელს. და მართლაც, სადაც მუშაობდა ნინო ახობაძე, ყველგან თან ახლდა ეს „ბოლშევიკური ცეცხლი“, სიმტკიცე.

1940 წლიდან ნინო ახობაძემ მუშაობა დაიწყო თბილვაჭრობის 53-ე და 38-ე მაღაზიებში საგალანტერიო და ფეხსაცმელების განყოფილების გამგედ. აქვე აირჩიეს იგი პარტორგანიზაციის მდივნად. ამასთან, დაუსწრებლად მიიღო იურიდიული განათლება.

1942-1944 წლებში ნინო ახობაძე მუშაობდა საგარეჯოს რაიონში სახალხო მოსამართლედ. შემდეგ — თბილისის რაიაღრიცხვის ინსპექტორად, გარეუბნის რაიონის მრავალშვილიან და მარტოხელა დედების სახელმწიფო დახმარების განყოფილებაში უფროს ინსპექტორ-რევიზორად, დიდი ლილოს სარაიონო კულტურის სახლის დირექტორად, გარეუბნის რაისაბჭოს აღმასკომის სოციალური უზრუნველყოფის გამგედ... 1958 წლიდან დაენიშნა რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსია.

პარტიამ და მთავრობამ ღირსეულად დააფასეს ამაგდარი ქალის შრომა — მედლებით და სიგელებით დააჯილდოვეს იგი.

ნინო ახობაძე დღესაც ჩვეული ენერგიით ემსახურება საყვარელ ხალხს, პარტიას. ამჟამად იგი პარტიული და სახელმწიფო კონტროლის მე-7 საგუშაგოს უფროსია და ერთერთი სახლმმართველობის ამხანაგური სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილე.

ზაირა აბესაძე

ბურამ რჩეულიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მხატვარი დ. ზ ა რ ა ფ ი შ ვ ი ლ ი

(მწერლის არქივიდან)

— იცი რა მოხდება, როცა კუპეში დავბრუნდებით და მარტო დავრჩებით? ჭურჭლის მტვრევა და სარკეების მსხვრევა, — თქვა გიორგიმ და არყის ჭიქას თვალი მოარიდა, მერე კეთილი ღიმილით გადახედა ნანას.

ნანამ ცხვირზე დაადო თითი, გადაიხარა მისკენ, უკანა ჯიბეში ჩაუყო ხელი, ცხვირსახოცი ამოიღო და ოდნავ უხერხული კმაყოფილი ღიმილით ცხვირზე მოისვა.

— გიორგი რეაქციაზე მუშაობს, — თქვა ნანამ. — სულ ცოტა ხანში ბრწყინვალე ბოქსიორი დადგება, ისე იცილებს ჭურჭელს.

— მე ავიტან, ოღონდ შენი სახე მეცოდება სარკეში უთოს მოხვედრის დროს, — გიორგიმ ნანას ხელი გადახვია. ნანა ნაზად მიეყრდნო მკერდზე.

— ჯერჯერობით ისე არ მაბრაზებს. როცა გამაჯავრებს, მაშინ ვნახოთ; ალბათ მართლა ვიხმარ უთოს, — ისევ გადაიხარა და ჯიბეში ჩაუდო დამრგვალებული ცხვირსახოცი.

— ერთი ცუდი თვისება აქვს ჩემს ცოლს, — არაყსა სვამს და პაპიროსს ეწევა, ვერაფრით ვერ მოვაშლევინე, ბიჭი რომ იყოს, კიდევ ჰო, თუმცა, მაშინ ჩემი მეუღლე აღარ იქნებოდა,— გიორგიმ ალმაცერად დახედა თავის წინ მდგარ არყის ჭიქას.

— რაღაც სხვანაირად ლაპარაკობ, გახსოვს, რა პირობა მომეცი, — გაუწყრა ნანა.

— აი, ასეთია, არაფრის უფლებას არ მაძლევს. არც მალევინებს, არც მაწევინებს.

— მე არ გიშლი, — ოდნავ წამოწითლდა ნანა, — დალიე რამდენიც გინდა... გიო,—ნანამ პირდაპირ სკამზე მჯდარ ბიჭს შეხედა, — გინდა გიჩვენო, რა მახინჯი იყო გიორგი ბავშვობაში, თუმცა არც ახლა მყავს მზეთუნახავი... — მან ჩანთიდან ორი სურათი ამოიღო და გიოს გადააწოდა.

პატარა ბიჭი იწვა ბალახზე, თავს გოგო დასდგომოდა და იცინოდა; მეორე სურათზე — იგივე ბიჭი იჯდა, გოგო თმას ქაჩავდა. ორივე სურათის ფონზე მოჩანდა უნაგირა მთა, მის ძირთან გაწოლილი წყლის ზოლი და დაუმთავრებელი კაშხალი.

— ხედავ, სად დაიწყო ჩვენი რომანი, ჩვიდმეტი წლის წინათ, მშენებლობაზე, სადაც ჩვენები მუშაობდნენ, — გაიღიმა გიორგიმ.

— ეს მე ვარ, ეს— გიორგი. რას გავს, არა? — სიყვარულით თქვა ნანამ.

— მაშინაც ასე მჩაგრავდა... ხომ ხედავ, ვტირი.

— შენ სულ ტიროდი.

— ალბათ ვგრძნობდი, რომ ჩემი ცოლი იქნებოდი და იმიტომ.

ნანა წამოწითლდა. გიორგიმ ლოყაზე უჩქმიტა. შემდეგ ხელი მოხვია და მიიზიდა.

მატარებელი რიტმულად ირხეოდა, გარეთ მოჩანდა ალაგ-ალაგ დათოვლილი შიშველი სტეპი, დიდფრთიანი ქარის წისქვილი. ფანჯარაში ქარის ზუილი ისმოდა და შორს წამოხვეტილი თხელი თოვლი ეყრებოდა წისქვილს.

— როგორია სტეპი, — დაიწყო გიომ, რომელიც გარეთ იხედებოდა, — დიდი, უბოლოო, გადაბუგული, შემიძლია მთელი დღე ვუყურო, ჩვენი მთები კი გულზე მაწვებიან.

— რას ამბობ, მთებს რა შეედრება, ასე ერთფეროვანი მაინც არ არის.

— იმდენი მთები განა ერთფეროვანება არ არის? თან სული გეხუთება. ერთადერთი დარიალი მიყვარს, ხრიოკი და ქვიანია.

— ვერც კი შევადარებ ენგურს, არც შეიძლება, იმდენი სიმწვანეა იქ.

— არ მიყვარს სიმწვანე.

— მეც არ მესმის, რა აქვს კარგი სტეპს ან ხრიოკს, — თქვა ნანამ.

— რას ამბობთ?... — დაიწყო გიომ.

გიორგი და ნანა ერთმანეთს უყურებდნენ ოდნავ კმაყოფილი ღიმილით, მათ არც მთა უნდოდათ, არც სტეპი. გიომ სხვა თემაზე სცადა საუბრის გადატანა.

— ჯერ თაფლის თვე გაქვთ, — მისი სიტყვები ყრუდ და სრულიად უადგილოდ გაისმა, — წახვალთ, ჩამოხვალთ უკან და ეგ თვეც გავა. სად აპირებთ ცხოვრებას?

ნანას ჯერ უკმაყოფილება გამოეხატა სახეზე, შემდეგ გამოეცოცხლდა, ნაწყვეტ-ნაწყვეტად, ღიმილით დაიწყო მოყოლა, რომ სახლი უკვე მზად ჰქონდათ ჰესის მშენებლობაზე—პატარა, სამითახიანი, მყუდრო და მოხერხებული, გიორგისათვის ცალკე სამუშაო ოთახი, რომლის ფანჯრებიც უზარმაზარი ჩანჩქერის პირას გადის. მუშაობა კი ისეთი საინტერესოა იქ, პირველი ტურბინის ჩადგმა უკვე დამთავრდა, ახლაც იქ უნდა იყვნენ, მაგრამ...

— მაგრამ, ხომ იცი ოჯახი. ქალი ზოგჯერ უნდა გაატარო, ტრადიციული საქორწილო მოგზაურობით მაინც უნდა გაართო. თან, წარმოგიდგენია, ისე, რომ არც დალიო, არც მოწიო, ძნელი ყოფილა, ძმაო, ცოლი.

ნანამ წყრომით შეხედა.

— მე არ გიშლი, შენ თითონ არ გინდა, ხომ ხედავ, რა გამხდარი ხარ?

— გეხუმრები. იცი, გიო, მართლა აღარ მინდა დალევა, არც მოწევა. აი ახლაც, ერთს მოვწევ და, მორჩა, — გიორგიმ გააბოლა ისე, რომ ცოლისთვის არ შეუხედავს.

— ერთი შეიძლება, — ხელებზე დააყრდნო ნიკაპი ნანამ.

— ჰო, ჰო, რა მომხვდება ამისთვის, ამ ერთი პაპიროსისთვის კუპეში, მაგრამ რას იზამ. любовь требует жертв.

ნანამ ისევ ამოიღო ცხვრისახოცი გიორგის ჯიბიდან, ოღონდ ახლა უფრო დიდხანს ჰქონდა მის ჯიბეში ხელი, მკერდით ეყრდნობოდა ქმარს, მატარებელი კი ირხეოდა, რახრახებდა, მიდიოდა. სტეპში ქარის წისქვილი გაქრა. ახლა ზედ გზის პირას ერთ მწკრივში ჩაწყობილი პატარა რუსული, თეთრი ქოხები გამოჩნდნენ, ოთხკუთხა ფანჯრებით და ღია ცისფერი დარაბებით.

— როგორ გვანან გაკვირვებულ თვალებს, — ისევ უხერხულად და ზედმეტად მოისმა გიოს ხმა, მან არაყი დალია უხერხულობის გასაფანტავად.

— ჩვენ წავალთ, დავისვენებთ, — თქვა ნანამ.

„ნეტა რა ეჩქარებათ, რა უნდათ იქ მთელი დღე-ღამე, არ მოწყინდათ?“ — გაიფიქრა გიომ.

— ცოტაც მოიცადეთ.

გიორგი წამოიწია და ისევ დაჯდა.

—დალიე, გიორგი, ერთი ჭიქა, — შეუვსო ჭიქა გიომ.

—არა, ხომ ხედავ, არ მიშვებს, — თქვა გიორგიმ.

— დალიე, მე არ გიშლი, — თქვა ნანამ.

— ნანა, იცი, როგორ მიკვირს, ასეთი ლოთი კაცი როგორ შეცვალე. ყოჩაღ! — თქვა გიომ.

— მე არ შემიცვლია, თითონ აღარ უნდა. არა?

— ჰო... — თქვა გიორგიმ.

გიორგის აშკარად სიამოვნებდა, რომ ცოლი ასე ზრუნავდა მისთვის და დალევის უფლებას არ აძლევდა.

— ჩემი ქმარი ლოთი იყო? — იკითხა ნანამ.

— არ იცოდი? სულ ერთად ვსვამდით, — გაიღიმა გიომ და ისევ უცხოდ მოეჩვენა თავისი ხმა, დალია, ნელა შეეპარა სასმელი, დაითრო. — დალიე, ბიჭო, ამაზე კარგი რა არის, ისე გავა დრო, ვერც კი გაიგებ, ხვალ კი ჩავალთ, იქ ნუღარ დალევ.

გიორგიმ მიიზიდა ცოლი.

—„არ წყინდებათ ასე ჯდომა?“ — გაიფიქრა გიომ და კიდევ დალია.

— არც არის სმა კარგი, კაცს იმდენი ფანტაზია უნდა ჰქონდეს, საკუთარი, შინაგანი, რომ უალკოჰოლოდაც გაერთოს... მერე შთამომავლობაზეც მოქმედებს, — თქვა გიორგიმ.

გიო ამღვრეული თვალებით უყურებდა, ხმა საიდანღაც უცხო ადგილიდან ისმოდა, გიორგი სერიოზულად იჯდა.

— მართალს ვამბობ, შენც გაანებე თავი ჯობია.

გიო უფრო თვრებოდა. ახლა მისთვის სულ ერთი იყო, არაყმა გემოც დაკარგა და ზედიზედ სვამდა. თვალები დაუწითლდა.

— წავიდეთ, გიორგი,— წამოიწია ნანა.

გიორგი წამოდგა.

— მიდიხარ? — შეეკითხა გიო.

— არ მტოვებს, რას იზამ.

— დარჩი თუ გინდა, — წამოწითლდა ნანა.

გიორგიმ ზევიდან გადახვია ხელი, თმაზე დაადო ცხვირი, აშკარად სიამოვნებდა, რომ ცოლი არ ტოვებდა.

— ძნელია, ოჯახში თავს რომ შეყოფ, — თქვა და აკოცა ნანას.

— კარგად იყავი, გიო, — დაემშვიდობა ნანა.

ფანჯარასთან მოსული თეთრი ქოხები გაქრნენ. სტეპი გაგრძელდა, გაბაცდა და ბინდი ჩაწვა. ქარმა ნისლში არეული თოვლი შეაყარა ვაგონ-რესტორნის ფანჯარას. გიომ იდაყვი გაუსვა შუშას და დუნედ გაიცინა. მიკრული თოვლი გარეთ ყურებას უშლიდა, მატარებელი კი მიდიოდა, რახრახებდა და უკან ტოვებდა ტელეგრაფის ბოძებს.

ბავშვებისათვის

ნიკიტლოს ჩარაია

სცივა ნუკრის

დ ე დ ა—ქარო, ნუ ჰქრი,
ნუ ჰქრი,
შეცივდება ნუკრის.

ქ ა რ ი—დაიხუროს ქუდი,
მოიხუროს პალტო,
სიცივეში ხალათი
ვერ გაათბობს მარტო.

რაზომ გამეგუბა?

ეს თოჯინა ცანცარა,
ძაღლმა წააცანცალა.
ვსდიე, ვსდიე, ვსდიე,
ველარ დავეწიე.
სად არ ვძებნე, სად არა,
ეს თოჯინა პატარა.
— ძაღლო, ვერ მივაგენი.
სად წაიღე, რა ჰქენი.
მერე დედამ მონახა,
გაუკვირდა, რომ ნახა;
კაბა ჰქონდა დაღეჭილი,
ხელი ჰქონდა მოგლეჯილი,
მერე, მერე, მერე
კაბა შევუკერეთ.
სულ მერე და მერე
ხელიც მივაკერეთ.
ვაგორეთ და ვთელეთ,
ხელათ გავამთელეთ.
აღარ უნდა, აღარა
ჩემთან ყოფნა პატარას.
ნეტავ, რად არ უნდა,
რატომ გამეგუტა?

პაწაწინა ბალახი

ბ ა ვ შ ვ ი—შენ საიდან მოხვედი,
პაწაწინა ბალახო?
ამ დამტვრეულ ქოთანში
მითხარ, რამ გაგაჩინა,
ასე კოხტა, ლამაზი,
ასეთი პაწაწინა?

ბ ა ლ ა ხ ი—ქარმა მოარბენინა,
ჩემი თესლი პატარა.
ამ ქოთანში ჩამაგდო,
მტვერი გადმომაყარა.
კარგად გამოვიზამთრე,
ჩემთვის ტკბილად მეძინა.
თავზე მიწა მეხურა,
გვერდზე მიწა მეწვინა.
როცა გამოზაფხულდა,
მიწა გათბა, გახურდა.
ამოვყავი წვერი,
ზევით ამოვძვერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლატავრა — „ლატავრა“

ნადეჟდა ცომაია

ოთახიდან სკრიაბინის მუსიკის ხმები გამოდიოდა. კაცი კარებთან შეყოვნდა. ეტყობოდა სწრაფად ევლო. თვალებსაც რალაც შეშფოთების იერი დაჰკრავდა. ორი წუთი და ოთახიდან გარკვევით მოისმა: — ასე არ ვარგა! სახეზე სევდა და სასოწარკვეთა უნდა გქონდეს ასახული, შენ კი თვალები ეშმაკობისა და სიხარულის ნაპერწკლებითა გაქვს სავსე. აბა, დავიწყოთ თავიდან! — რიტმული ტაშისცემის მაგვარი რაღაც მოისმა. აკომპანიმენტი განახლდა.

კაცმა მოუთმენლად დაიხედა საათზე და კარი ფრთხილი ჭრიალით შეაღო. პლასტიკის მასწავლებელმა ვარვარა ბეგთაბეგოვამ მწყრალად მოიხედა, ოფლად გაღვრილმა ქალიშვილებმა კი თავისუფლად ამოისუნთქეს: „ერთი წუთით შესვენებაც რამეა!“

, შემოსულმა პირდაპირ დაიწყო: — ლიალინა გაგვიხდა ავად. დაწყებამდე კი ორი საათიღა დარჩა, ვინმე თუ არ მოვძებნეთ, სპექტაკლი ჩაგვივარდება. ნადეჟდა, როგორ ფიქრობ, ვერ შესძლებ ამნერისის პარტიის შესრულებას? —

ნადეჟდას ცალი ხელი ფანჯრის რაფაზე დაეყრდნო, მეორეთი თმას ისწორებდა, თვალებში კი ისევ ისე ზეიმობდნენ ეშმაკობის ნაპერწკლები. მოულოდნელობისაგან ერთ წუთს შეცბა, მაგრამ მაშინვე უპასუხა: აბა, რატომ ვიკლავ თავს, თუკი ვერ ვიმღერებ! —

1930 წლის 4 ნოემბრის „კომუნისტი“ წერდა: „ხანდახან ფრიად პატარა შემთხვევა ბადებს დიდ შედეგს. რომ არ გამხდარიყო ავად... მოპატიჟებული მეცოსოპრანო, ცომაიას არ ეღირსებოდა ამნერისის როლში გამოსვლა. ძნელია მოიძებნოს სადმე ისე მდიდარი, ლამაზი და ფართო დიაპაზონის მეცოსოპრანო, როგორითაც ბუნებით დაჯილდოებულია ცომაია“.

იქნებ არც არის საჭირო იმის თქმა, რას იგრძნობდა იგი მის შესახებ დაწერილი ამ რეცენზიის გამო, რომლის ავტორს ასე მართებულად და სწორად შეუფასებია მომავალი დიდი მომღერლის შესაძლებლობანი. „ფართო დიაპაზონი, მდიდარი ხმა“. ამ საზეიმო წუთს ნადეჟდას მისი პირველი რეცენზენტი, გერმანელი მუსიკოსი ეგონ პეტრი მოაგონდა, ქუთაისში გამართული კონცერტის შემდეგ, რომელშიც მუსიკალური ტექნიკუმის სტუდენტმა ნადეჟდა ცომაიამ თამარ მეფის კავატინა და „სამსონ და დალილადან“ „გაიხსნა გული“ შეასრულა, კულისებში რომ აიჭრა და ნიჭიერ გოგონას, გამარჯვება მიულოცა. „ფენომენალურია, ხმა კი არა, ნამდვილი ორღანია.“—უთხრა ნადეჟდას პედაგოგს მიხაილოვას.

მაგრამ ხმას დახვეწა უნდოდა, მაშინდელი მოდური ბოშური სიმღერების გავლენას თავისი გაეტანა. ასეთი დიდებული „მასალით“ აღტაცებული ეგონ პეტრი იხვეწებოდა, გერმანიაში წამომყვეს, ნახავთ, როგორ დამუშავდება და გაძლიერდება ხმა. მთელ ხარჯებს მე ვკისრულობ, როცა დიდი მომღერალი დადგება, გადამიხადოსო. მაგრამ არც საქართველოში უპირებდნენ უყურადღებოდ დატოვებას ნიჭიერ ქალს.

სუსტი იყო, ფერმკრთალი. უკვე თბილისის კონსერვატორიის სტუდენტს, ვანო სარაჯიშვილის სახელობის სტიპენდიანტს, დიდი ხმითა და მინიატურული აღნაგობით სცნობდნენ. „საიდან ამოსდის ამ პატარა გოგონას ასეთი ხმა“, გაოცებული იყო დირიჟორი ბაგრინოვსკი.

კონსერვატორიის დამთავრებისთანავე (1929 წელს) საოპერო დასში ჩაირიცხა, სადებიუტო როლი იყო „დარეჯან ცბიერი“. ამ რთულსა და ლამაზ პარტიას ახალბედა მომღერალმა ისე კარგად გაართვა თავი, რომ მაშინვე დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა აღტაცებულმა საზოგადოებამ, რომელიც ყოველი ახალი ეროვნული კადრის გამოჩენას გაფაციცებით ადევნებდა თვალს.

...მერე თითქოს ყოველი ახალი როლი შემდგომ უფრო რთულსა და საპასუხისმგებლო როლს ბადებდა. „დარეჯან ცბიერი“, „დაისი“, „ლატავრა“, „აბესალომ და ეთერი“, „კარმენი“, „ბორის გოდუნოვი“, „მაზეპა“, „ტრუბადური“ — რა სახელწოდებებია!

ნადეჟდა ცომაია იმ ბედნიერთაგანია, რომელსაც ყველა ამ და სხვა მრავალ ოპერაში თავბრუდამხვევი წარმატებით უმღერია. მაგრამ ეს სიტყვა მხოლოდ პირობითაა ნახმარი. მომღერალი მუდამ თავისი თავმდაბლობით, სისადავი-

ამნერისი — „აიდა“

Солистка Тбилисского Гос. Ф-К Театра Оперы и Балета им. С. М. Кирова (бывш. Мариинский)
Н. А. ЦОМАЯ в роли Амнерис (оп. „Аида.“)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტარას შევჩენკო
(დაბადების 150 წლისთავი)

მ. ბოჟი
უკრაინის სსრ ხელოვნების
დამსახურებული მოღვაწე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პიეტა (დეტალი)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიმდინარე წლის თებერვალში შესრულდა 400 წელი გენიალური იტალიელი მოქანდაკის, ფერმწერლის, არქიტექტორისა და პოეტის, აღორძინების კულტურის უდიდესი წარმომადგენლის მიქელანჯელო ბუონაროტის გარდაცვალებიდან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსე

თა და უზარმაზარი შრომისმოყვარეობით გამოირჩეოდა. მის შრომისმოყვარეობაზე მეტყველებს განსახიერებული როლების რაოდენობა; მოღვაწეობის 30 წლის მანძილზე ნადეჟდა ცომაიამ 50 როლი შეასრულა. 30 წლის მანძილზე დაძაბული შრომის ციებ-ცხელება, 30 წლის მანძილზე განცდილი მღელვარება და გამარჯვების სიხარული, ორმოცდაათნაირი ხასიათი და სიცოცხლე!

1935 წელს ლენინგრადელმა მაყურებელმა თავის სცენაზე იხილა ქართველი მომღერალი ქალი ნადეჟდა ცომაია. ამ დიდი ტრადიციების ქალაქში ყველა როდი ბედავს მოსინჯოს თავისი შესაძლებლობანი. ნადეჟდა კი თავს ისე გრძნობდა, თითქოს თბილისის ოპერის სცენაზე იდგა. ამას ხელი, ალბათ, ლენინგრადელი მაყურებლის გულითადობამაც შეუწყო, რომელმაც ცხადად იგრძნო ხალასი ნიჭის ძალა და ყოველ სპექტაკლზე მომღერალს მქუხარე ტაშით აჯილდოებდა.

მალე ლენინგრადში „კარმენის" რეპეტიციების ჩასატარებლად ახალგაზრდა დირიჟორი ევგენი მიქელაძე ჩამოვიდა, რომელთანაც ნადეჟდას დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებდა. ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის დროს ევგენი გამუდმებით ედგა ნადეჟდას მხარში და ყოველი ახალი პარტიის დამუშავებისას როიალზე აკომპანიმენტს უკეთებდა.

და აი ახლა, როცა თავის ძალის მოსასინჯად აქ იგიც ჩამოვიდა, ნადეჟდა აუწერელმა მღელვარებამ შეიპყრო. ევგენი მიქელაძის ფენომენალურ მუსიკალურ მეხსიერებაზე დღესაც იმდროინდელი აღტაცებით ჰყვებიან ნადეჟდაცა და სხვა მისი თანამედროვენიც. მაგრამ ლენინგრადელებისათვის მაინც მოულოდნელი და დაუჯერებელი იყო, როცა რეპეტიციაზე დირიჟორმა პარტიტურა დახურა და ხელის ნატიფი მოძრაობით ორკესტრს მზადყოფნის ნიშანი მისცა. უცბათ ორკესტრანტებში დაცინვისმაგვარი ქირქილი გაისმა; თავმაღლობას თუ სწამებდნენ ახალგაზრდა დირიჟორს. ფიცხი და ბობოქარი ბუნების ევგენი, ახლა რაღაც სფინქსისებური უშფოთველობით ელოდა სრულ ყურადღებას და როცა პირველსავე მოქმედებაში რომელიღაცა მევიოლინემ ყალბი ბგერა გამოცა, ევგენიმ იგივე უშფოთველობით ორკესტრი შეაჩერა და „დამნაშავეს" ყალბად დაკრულის გასასწორებლად გვერდი და სტროფი მიუთითა. ამან კი საბოლოოდ განაიარაღა სკეპტიკოსები, დარწმუნებულებმა, რომ ეს არ იყო გაყოყოჩებული კაცის პოზა, დასასრულს თავიანთი სიმპათია ფეხზე ადგომით გამოხატეს.

იმ სეზონზე ლენინგრადში ბოროდინის „თავადი იგორის" რეჟისორად სანდრო ახმეტელი იყო მოწვეული და თანამემამულეთა შემოქ-

შვილთან

მედებითი წარმატებები ნადეჟდას სტიმულსა და ხალისს მატებდნენ.

ლენინგრადის სცენაზე ნადეჟდა ცომაია სამი სეზონის განმავლობაში მღეროდა, მაგრამ მის ასე მდიდარ და სავსე ბიოგრაფიაში, ეს სამი წელი მსხვილი პლანით შევიდა და სამუდამოდ დაუმკვიდრდა დიდი მომღერლის სახელი. რა თქმა უნდა, სავსე და მდიდარი ბიოგრაფიის მქონეა ის ადამიანი, რომელსაც შემოქმედებითი ურთიერთობა ჰქონდა იჯანე ფალიაშვილთან და ნიკო ქუმსიაშვილთან, ევგენი მიქელაძესთან და სანდრო ახმეტელთან, მელიქ-ფაშაევთან და ფატმა მუხტაროვასთან, დავით ანდღულაძესთან და ოდისეი დიმიტრიადთან, ნიკოლოზ პერკოვსკისთან, სერგეი მიგაისთან და ვლადიმერ კასტორსკთან. წარმატებით მღეროდა სიმფონიურ ორკესტრთან, რომელსაც სახელგანთქმული ვილი ფერერო დირიჟორობდა. უსუპოვის სასახლეში, ციმბირის ქვებით მოჭედილი ეკატერინე მეორისეულ კაბაში გამოწყობილი ნადეჟდა მსმენელს ხიბლავდა თავის ძლიერი, სუფთა ტემბრის დრამატიზმით აღსავსე ხმით.

კარმენი — „კარმენი"

ქართველ თანამედროვე მსმენელს კარგახანია აღარ გაუგონია საყვარელი მომღერალი ქალის ხმა. სცენა მან მაშინ მიატოვა, როცა ხმას ჯერ ბზარი არ შეჰპარვოდა. მაგრამ, როგორც თვითონ ამბობს, ასე სჯობდა, უკეთესია ხალხს ძლიერი დაამახსოვრდე!

ნადეჟდა ახლა წარმატებით მოღვაწეობს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში.

— იცით, რა მეცოსოპრანოებს ვამზადებ! — ამბობს იგი დინჯი ღიმილით.

ამაზე იტყვიან, ყველაფერს თავისი დრო აქვსო. ნადეჟდა ცომაია პედაგოგიურ მუშაობას ახლა ისეთივე გატაცებითა და მღელვარებით ეკიდება, როგორც სამნახევარი ათეული წლის წინ სადებიუტო როლის მომზადებას.

...იგი ახლა თავის სამუშაო ოთახში ზის და თითებს ნერვიულად აკაკუნებს მაგიდაზე. ოთახი პატარაა, ერთი კედელი თითქმის ფანჯრითაა დაკავებული, საიდანაც მოვარდისფრო, მოიისფრო საღამოს ნისლში გახვეული თბილისი თავისი მორიგი თეატრალური დღისათვის ემზადება.

დანარჩენ სამ კედელზე სურათებია გაკრული. შუათანა კედლიდან მომღიმარი ახალგაზრდა ქალის ფოტოსურათი იყურება. იგი თითქოს დანარჩენ მოპირდაპირე ორ კედელზე გაკრულ დედ-მამის სახეებს უღიმის, მათ დიდებასა და სახელში ეჯიბრება. ეს ცნობილი მომღერალი მედეა ამირანაშვილი გახლავთ, რომელიც ღირსეულად აგრძელებს ოჯახის დიდებულ ტრადიციებს.

ასეა. ცხოვრება გრძელდება!

ნანული ცაგარეიშვილი

ლედი — „ლუიზა მილერი"

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უილიამ შექსპირი

1564 - 1964

23 აპრილს სრულდება ოთხასი წელი გენიალური ინგლისელი პოეტისა და დრამატურგის უილიამ შექსპირის დაბადებიდან. ეს იქნება უდიდესი იუბილე, რომელიც კი ოდესმე გადაუხდიათ მწერლისათვის. მთელი მსოფლიო დიდი ზეიმით აღნიშნავს ამ ღირსშესანიშნავ თარიღს.

ამ ოთხი საუკუნის წინათ პატარა მდინარე ეივონზე გაშენებულ პროვინციულ ქალაქ სტრეტფორდში დაიბადა ადამიანი, რომლის სახელი მომდევნო თაობებმა საკაცობრიო კულტურის ისტორიაში ჰომეროსისა და გოეთეს გვერდით დასწერეს. მისი ცხოვრების შესახებ, სამწუხაროდ, ძალიან ცოტა რამ ვიცით.

ამაღელვებელი და საინტერესო იქნებოდა იმ ადამიანის ცხოვრება, რომელმაც ცოლ-შვილი დასტოვა სტრეტფორდში, რათა რთული გზა გაევლო თეატრალურ სარბიელზე, განიცადა შვილის უდროო დაკარგვით გამოწვეული უდიდესი მწუხარებაც და ბრწყინვალე ლიტერატურული აღიარებაც. დიდი ხნის შემდეგ კვლავ ოჯახს დაუბრუნდა, სამუდამოდ აიღო ხელი პიესების წერაზე და დავიწყებულ იქნა ყველას მიერ. მაგრამ შექსპირის შემსწავლელი მეცნიერება იძულებულია დაკმაყოფილდეს იმ მცირედის ცოდნით, რის შესაძლებლობასაც იძლევა პოეტის ცხოვრების შესახებ არსებული ფრაგმენტალური დოკუმენტაცია, და ყურადღება ძირითადად მისი გენიალური შემოქმედების შესწავლაზე გადაიტანოს.

ეს შემოქმედება კი უაღრესად მდიდარია... შექსპირმა დაგვიტოვა ორმოცამდე დრამატული ნაწარმოები, ორი პოემა და 154 სონეტი...

მსოფლიოს უდიდესი დრამატურგის შემოქმედება პოეზიით დაიწყო. მისი სონეტები წარმოადგენენ ინგლისური რენესანსული ლიტერატურის, ამ გავრცელებული და დახვეწილი ჟანრის — ერთგვარ კულმინაციას, სრულქმნას და ამავე დროს შეიცავენ იმ მსოფლმხედველობრივ და სტილისტურ თავისებურებებს, რაც საერთოდაა დამახასიათებელი შექსპირის ადრეული შემოქმედებისათვის. სონეტების მთელ ციკლს ლეიტმოტივად გასდევს ბუნებრიობა და ყოველნაირი ხელოვნურობის უარყოფა. შექსპირი ილაშქრებს იმდროინდელ არისტოკრატთა სალონებში გაბატონებული, ერთხმად აღიარებული მშვენიერების ყალბი იდეალის წინააღმდეგ. მისი გატაცება „შავგვრემანი ქალბატონის“ თემით სწორედ ამ მხრივაა საინტერესო. პოეტი ხაზგასმით ემიჯნება ოქროსკულულებიანი ქალბატონების მეხოტბეთა გემოვნებას და შავ ფერსაც კი აღიარებს ლამაზად, თუკი იგი ბუნებრივია. იგი უარყოფს ყალბ ფერებს, რომლითაც ცდილობენ მახინჯი სინამდვილის ლამაზად წარმოდგენას:

„ამიტომ ჩემი სატრფოს თმები ყორნისფერია,
თვალნი ელავენ მგლოვიარე მშვენიერებით;
ძაძით მოსილნი სიბრალულით თუ შესცქერიან
მას, ვინც ბუნებას შეურაცხყოფს ყალბი ფერებით!“*

ყოველგვარი სიყალბის წინააღმდეგ ბრძოლისა და ბუნებრიობისადმი ხოტბის შესხმის პათოსითაა გამსჭვალული შექსპირის ადრეული პიესებიც. ამ მხრივ საინტერესოა „ჭირვეულის მორჯულების“ ქალთა ტიპაჟი: „ჭირვეული“ კატარინა და „კრავივით უმანკო“ ბიანკა (კატარინას და). ამ პიესას ხშირად თამაშობდნენ და ზოგჯერ ახლაც თამაშობენ ხოლმე, როგორც უხეშ ფარსს ანჩხლი და თავნება დედაკაცის მოთვინიერების შესახებ ძლიერი ნებისყოფის, მთლიანად პატრიარქალურ-ფეოდალური წარმოდგენების ტყვეობაში მყოფი ქმრის მიერ. ეს უხეში შეცდომაა. კომედიის იდეა მამაკაცის მიერ ქალის ადამიანურ უფლებათა ფეხქვეშ გათელვის ფეოდალური წარმოდგენის დამკვიდრებაში კი არა, არამედ პირიქით, ქალის ღირსების ჰუმანური რეაბილიტაციის ცდაში მდგომარეობს.

კატარინა ამხედრებულია იმ უმსგავსოების წინააღმდეგ, რასაც შექსპირის ეპოქაში (და არა მარტო შექსპირის ეპოქაში) მდიდარი საცოლეების ძიება ეწოდებოდა. იგი აღშფოთებულია იმ სისაძაგლით, რასაც მშობლები ჩადიოდნენ ჯიბესქელი სასიძოების მოსანახად და ბოლოს, იგი ზიზღით უყურებს თავისი დის, ბიანკას მაგვარ თვალთმაქც, ადამიანური ღირსებისაგან დაცლილ ქალწულებს.

ასეთი დაპირისპირებები თანდათან უფრო რთულდება შექსპირის შემოქმედების განვითარებასთან ერთად. მაგალითად, „რომეო და ჯულიეტაში“ მიჯნურთა ბედ-იღბალი უკვე ფილოსოფიურ განზოგადოებამდეა აყვანილი; აქ დახატულია არა ორი მოღუღუნე მტრედის თავზე დატეხილი უბედურება, არამედ მაღალი, ამბოხებული სულის ადამიანთა დაუოკებელი სწრაფვა ურთიერთისადმი, რაც მონათესავე გრძნობებისა და აზრების მტკიცე სოლიდარობას გამოხატავს დრომოჭმულ საზოგადოებრივ ურთიერთობათა წინააღმდეგ ბრძოლაში.

თავისი შემოქმედების ე. წ. „ტრაგიკულ პერიოდში“ შექსპირი ქმნის ყველაზე ცნობილ ტრაგედიებს — „ჰამლეტი“, „მეფე ლირი“, „ოტელო“, „მაკბეტი“.

---

* თარგმანი გ. გაჩეჩილაძის

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ შექსპირის შემოქმედებას წარმოვიდგენთ ინგლისური რენესანსული კულტურის მწვერვალად და მის ყველაზე ნათელ გამოხატულებად, ეს უპირველეს ყოვლისა და უმთავრესად „ჰამლეტს“ ეხება. „ჰამლეტში“ ყველაზე ნათლად, ყველაზე ღრმად არის ასახული დრამატურგის ჰუმანური მსოფლმხედველობა, მისი რწმენა ადამიანის უზომო შესაძლებლობისადმი და ამავე დროს ამ შესაძლებლობის განუხორციელებლობის ტრაგიკული შეგრძნება.

ჰამლეტის ბრწყინვალე ტრაგიკული სახის გვერდით შექსპირი დიდი სითბოთი და სიყვარულით ხატავს თავის ერთ-ერთ ყველაზე ცნობილი ქალის ხასიათს: ტრაგიკულ კოლიზიათა უდანაშაულო მსხვერპლს — ოფელიას. ჰამლეტი შესანიშნავად გრძნობს, რომ ოფელია სუბიექტურად სრულიად უდანაშაულოა იმაში, რომ დანიის უფლისწულს წილად ხვდა ბედ-უკუღმართ დროებასთან სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილი. იგი არც სთხოვს ოფელიას — მეგობარ ჰორაციოსავით მისი მესაიდუმლე და თანამებრძოლი გახდეს. მაგრამ ჰამლეტს ვერც ოფელიას სიყვარულის მშვიდ სავანეში შეუფარებია თავი. პოლონიუსის უმანკო ასულის ტრფიალი შეურაცხყოფილი ადამიანობის დამცველის შურისმაძიებლურ განწყობილებას არ შეეფარდება. ჰამლეტს უზომოდ იზიდავს ოფელიას კდემამოსილება, მაგრამ ზარავს, ან, უკეთეს შემთხვევაში, ინდეფერენტულს ხდის მისი პასიური გათქვეფა პოლონიუსებსა და კლავდიუსებში. და დედამისის საქციელით გამოწვეული უნდობლობა და ზიზღი საერთოდ ქალის სუსტი, მერყევი ბუნებისადმი ჰამლეტს თვით ოფელიაზეც გადააქვს.

იდეალსა და სინამდვილეს შორის წინააღმდეგობა, რაც შექსპირის შემოქმედების ძირითად პრობლემას შეადგენს, მეტად მკვეთრად და კონკრეტული დრამატული ფორმით გამოხატულია ტრაგედიაში „ოტელო“. „ოტელო“ შექსპირის ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული დრამაა. უტყუარმა სცენურმა ღირსებებმა სამუდამოდ დაუმკვიდრეს მას მტკიცე ადგილი მსოფლიოს თეატრების რეპერტუარში.

ოტელო შურს იძიებს არა მარტო როგორც მოტყუებული ქმარი, არამედ, უპირველეს ყოვლისა, როგორც შეურაცხყოფილი ადამიანი, რომელსაც შეუბღალეს მაღალი რწმენა ადამიანის სისპეტაკისა და პატიოსნებისადმი. იგი აღრჩობს არა ცოლს, არამედ იუდას. გამყიდველს, კაცთმოღალატეს. მაგრამ შეცდა. ვერ მიხვდა, ვერ გამოიცნო ამ ბოროტების სათავე. ოტელომ დაიჯერა იაგოს მონაჩმახი, რადგან ბუნდოვნად აქამდეც იცოდა მის სოციალურ გარემოცვაში არსებულ სისაძაგლეთა შესახებ. ოტელო ბევრ რამეს აპატიებდა ადამიანებს, რადგან იგი გარკვეულ მორალურ უპირატესობას გრძნობს მათ წინაშე, მაგრამ იოტის ოდენასაც ვერ აპატიებს დეზდემონას, რომელიც მან იდეალად აღიარა და რომელმაც სწორედ ამიტომ თავისი „ღალატით“ ოტელოს ეს ადამიანური ღირსება და უპირატესობა შებღალა.

ჭეშმარიტად ტრაგიკულ სიდიადეს აღწევს დრამატურგი პიესის ბოლო სურათში, როცა მავრი რწმუნდება დეზდემონას სიმართლეში. ოტელოს რწმენა, მისი ჰუმანისტური მრწამსი კვლავ აღდგენილია. შეცდომამ ოტელოს თვალში აამაღლა სატრფო, მაგრამ, სამაგიეროდ, ნიღაბი ახადა „პატიოსნებით აღსავსე მეგობრის“ საზარელ მზაკვრობას. ოტელოს სიკვდილი მისი სიყვარულის ზეიმია, მაგრამ დიდბუნოვან მავრს, ამავე დროს, საფლავში მიჰყვება მის სულში შეპარული მწარე ნაღველი, ადამიანთა შორის იაგოების არსებობით გამოწვეული.

იდეალსა და სინამდვილეს შორის უფსკრული თანდათან უფრო ღრმავდება, რასაც შექსპირი უკანასკნელ პერიოდში გარკვეულ შემოქმედებით კრიზისამდეც მიჰყავს.

კლეოპატრასა და ანტონიოსის სიყვარულში, მაგალითად, უკვე ახალი ინტონაციებია შეპარული. მათ სიყვარულს არ აკლია მგზნებარება და ცეცხლი, მაგრამ მას დაკარგული აქვს ის რენესანსული გულწრფელობა, სილაღე და, ამავე დროს, მონუმენტური სისადავე, რაც რომეოსა და ჯულიეტას ტრაგიკული სიყვარულის მთელს შინაარსს წარმოადგენს.

პოლიტიკაში გაკოტრებული რომაელი სარდალი თვალს უხუჭავს სინამდვილეს, ცდილობს პირი აარიდოს კარზემომდგარ უღიმღამო მომავალს. იგი დიდი კეისრის „ნასუფრალზე შემორჩენილ“ დედოფლის სიყვარულს მობღაუჭებია. „აღმოსავლური რბილი ქვეშაგები“ მხოლოდ საბაბი და თავშესაფარია ანტონიოსისმაგვარი, შინაგანად გატეხილი, ერთ დროს სახელმოხვეჭილი დიდი პოლიტიკოსისათვის.

სიყვარული „ანტონიოს და კლეოპატრაში“ აღარ არის ის ცხოველმყოფელი ძალა, რომელიც ნორჩ მიჯნურებს გმირებად აქცევდა („რომეო და ჯულიეტა“), ანჩხლ კატარინას საკუთარი ადამიანური ღირსების შეგნებას უმტკიცებდა („ჭირვეულის მორჯულება“), ჯესიკას თავისუფლების სიყვარულს უნერგავდა („ვენეციელი ვაჭარი“). ჩნდება გარკვეული ბზარი თვით სიყვარულის იდეალში.

მაგრამ დრამატურგი აღტაცებული შეჰყურებს თავისივე ქმნილებას — ეგვიპტის დედოფლის მომჯადოებელ სახეს... შექსპირს ენანება საკუთარი იდეალების დაფანტვა, მას არ სურს ამ იდეალების ნაცვლად ილუზია შერჩეს ხელთ... ამიტომ მის მიერ შექმნილი უკანასკნელი საგალობელი რენესანსული სიყვარულისა გლოვა და წუწუნი კი არა, გედის ლამაზი სიმღერაა, რომლითაც ეს სიყვარული ამაყად ყელმოღერებული, სამეფო გვირგვინითა და ტანისამოსით მორთული კვდება.

* * *

შექსპირის დიადი შემოქმედება, რომელმაც ოთხი საუკუნის მკაცრ გამოცდას გაუძლო და დღესაც ჩვენთვის მაღალი ხელოვნების მისაბაძ ნიმუშს წარმოადგენს, თავის ცხოველმყოფელ ძალას არ დაჰკარგავს არც მომავალი თაობებისათვის.

ნ. ყიასაშვილი

ჩვენი ეროვნული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეპორტაჟი

— **აქ ვარ.**

— **აბა, უთხარი სტუმრებს, რომელ კლასში სწავლობ?**

— **მეოთხეში.**

— **რამდენი წლისა ხარ?**

— **თერთმეტის.**

— **როგორ სწავლობ?**

— **ხუთებზე.**

— **შენ რა გვარი ხარ?**

— **ხოსიაშვილი.**

ივანეს უჭირს „ხ“ ბგერის გარკვევით წარმოთქმა.

— „ხ“ მკაფიოდ გამოთქვი, — უსწორებს მასწავლებელი. ახლა მან სახეზე რვეული აიფარა და ისე დასვა კითხვები.

— **როგორი ამინდია დღეს?**

— **მზიანი.**

— **რა დროა ახლა?**

— **ზამთარი.**

სმენის კაბინეტში ე. წ. ნარჩენი სმენის განვითარება, სწორი მეტყველების გამომუშავება სწარმოებს. კაბინეტი დაცულია გარეშე ხმაურისაგან. სმენის გამოკვლევა ერთი წლის განმავ-

ჭერში ელექტრონათურა აკიაფდა. ეს გაკვეთილების დაწყებას ნიშნავს. სასწავლო ნაწილის გამგე, პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი ელენე ბაქრაძე სმენის კაბინეტში შეგვიძღვა.

ოთახში ბავშვები რიგრიგობით შემოვიდნენ, მიკროფონიან მერხებს შემოუსხდნენ და ყურმილები მოირგეს. მათ ესმით როგორც თავიანთი, ისე სხვისი ხმა. პირველი გაკვეთილი დაიწყო. კაბინეტის გამგემ ექიმმა ნელი ჭავჭანიძემ აპარატი მოიმარჯვა.

— **არახამია გულიარდა.**

ლობაში გრძელდება. აქ მეცადინეობს 41 სმენაშერჩენილი ბავშვი, რომლებიც სმენის მდგომარეობისა და საერთო ცოდნის მიხედვით დაყოფილი არიან 9 ჯგუფად. აქ სწავლობენ როგორც მოსამზადებელი, ისე I-III კლასის მოსწავლეები.

— **აი, ის გოგონა, — მიგვითითა ექიმმა ც. გაბოშვილზე, — 3 წლის იყო, როდესაც წითელას გადატანის შემდეგ სმენა დაკარგა, მეტყველება დაუჩლუნგდა, მას შემდეგ ჩვენთან არის და ახლა მშვენივრად მეტყველებს.**

VIII1 კლასში ქართული ენის გაკვეთილი მიმდინარეობს. გაკვეთილი ლოლა გვინცაძეს მიჰყავს.

— **ნანა, მიამბე გაკვეთილი.**

ნანა მამაგულაშვილმა დაიწყო „მეშახტეების“ მოყოლა:

— **პაპა ასლანი ძველისძველი მაღაროელი იყო. ნოდარის დიდი ხნის ნატვრა აუსრულდა: პაპა ასლანმა იგი მაღაროს დასათვალიერებლად წაიყვანა...**

— მადლენა, განაგრძე.

— ჩვენი შახტები კეთილმოწყობილია, მუშების სამუშაო დღე შემცირებულია, ხელფასი გადიდებული... აგრძელებს მადლენა მიქაბერიძე...

ქ. თბილისის ყრუ ბავშვთა სკოლა-ინტერნატში სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისაგან დროის ხანგრძლიობით განსხვავდება. მოსამზადებელი ჯგუფიდან დაწყებული VIII კლასამდე მოსწავლეები დაწყებითი სკოლის პროგრამით მეცადინეობენ, ხოლო VIII-დან — V-VIII კლასების პროგრამით. გარდა ამისა, დამატებით მეტყველების ტექნიკას ეუფლებიან. სკოლის დამთავრების შემდეგ, მოსწავლეები იღებენ რვაწლიანი განათლების მოწმობას და უფლება ეძლევათ სწავლა განაგრძონ ტექნიკუმებსა და სხვა სპეციალური ტიპის სასწავლებლებში.

ინტერნატში 249 აღსაზრდელია. მათი უმრავლესობა რესპუბლიკის სხვადასხვა რაიონიდან არის ჩამოსული. აქ იზრდებიან ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი ბავშვები. 26 კლასი რუსულ და ქართულ ენაზე მეცადინეობს, 9 საალმზრდელო ჯგუფია. 72 აღმზრდელიდან მხოლოდ ათიოდეა მამაკაცი. დანარჩენი ქალები არიან. ამ დიდ, ერთ საერთო ოჯახში მოსწავლეები ზოგადსაგანმანათლებლო საგნებთან ერთად სხვადასხვა ხელობასაც ეუფლებიან, წარმოებაში შრომის ჩვევებს იძენენ.

ფეხსაცმელების შემკერავ სასწავლო საამქროში გაგვაკვირვა მოსწავლეთა ნახელავმა ქალისა და სპორტულმა ფეხსაცმელებმა. ეუფლებიან რა პროფესიას, ბავშვები მატერიალურ ღირებულებასაც ქმნიან, მაგრამ გასამრჯელო ხელზე კი არ ეძლევათ, არამედ შემნახველ სალაროში ერიცხებათ.

სამკერვალო საამქროში გოგონები კვალიფიციური მკერავების დახმარებით ჭრა-კერვას სწავლობენ.

საამკინძაო საამქროში გრძელ მაგიდას ჭაბუკები შემოსხდომიან, საქმიანობენ. ვინ მოძრავ ანბანს კრებს და ყუთში აწყობს, ვინ მოსწავლის პირადი საქმის ყდას ამზადებს.

სადურგლო საამქროში დაზგების ხმაურია. მოსწავლეები მაგიდის დეტალებს ამზადებენ.

ბინდი ჩამოწვა. დღის რეჟიმი იწურება. საათის ისარი რვას უახლოვდება. ამ დროს დერეფნებში სიწყნარე ისადგურებს. პატარა აღსაზრდელები ძილისათვის ემზადებიან. 9 საათისათვის მათ უკვე მშვიდი ძილით სძინავთ, ხოლო უფროსკლასელები 10 საათიდან ისვენებენ. საძინებელ ოთახებს ფრთხილად ჩამოუვლიან ძიძები, საწოლებს თვალს გადაავლებენ, ვინმეს თავი ცუდად ხომ არ უდევს, ან საბანი ხომ არ გადაეხადა.

სკოლა-ინტერნატს ბევრი კვალიფიციური, დამსახურებული პედაგოგი ჰყავს — პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი ანასტასია კაიშაური, ალექსანდრა მგალობლიშვილი, თამარ იმერლიშვილი და სხვები.

ბუნებით დაჩაგრული ბავშვებისადმი მშობლიური სიყვარული, მათი ფიზიოლოგიური ნაკლის მინიმუმამდე დაყვანა, საზოგადოებასთან სასაუბრო-საურთიერთო კავშირის დამყარება, სასარგებლო შრომაში ჩაბმა, — აი, მათი საზრუნავი

ლიდა არუფიძე





კარელ ჩაპეკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხატვარი ვ. ჩაპეკი

მანამდე, სანამ ჩემი მეწისქვილე ბაბუა სოფლებსა და წისქვილს შორის პურსა და ხორბალს დაატარებდა, ვორჟიშეკს ყველა იცნობდა. ყველა გეტყოდათ, რომ ვორჟიშეკი ის ძაღლია, რომელიც კოფოზე შულიტკას გვერდზე წამოსკუპებულიყო და ისე იყურებოდა, თითქოს ფორანი თვითონ დაყავდა, როცა აღმართზე ცხენები ფეხს შეუნელებდნენ, ყეფას ატეხავდა. ბაბუა შულიტკა თავის ფერდასა და ჟანკას შოლტს გადაჰკრავდა, ცხენები გამოცოცხლდებოდნენ, ბორბლები ტრიალს მოუხშირებდა და ფორანი სოფელში სულ გრიალ-გრიალით შევიდოდა.

ხალხი ნახევარი საათით ადრე ელოდებოდა. ხმითა და სუნით ხვდებოდა მის მოახლოებას. პური მოაქვთო,—დაიძახებდნენ და მისასალმებლად გამოვიდოდნენ. ბაბუას ფორანი მართლაც უკვე სოფელში მოგრიალებდა. შულიტკა ცხენებს უწრუპუნებდა, აყეფებული ვორჟიშეკი ჯერ კოფოზე შეხტებოდა, მერე პირდაპირ ჟანკას გავაზე ისკუპებდა და ზედ ცეკვავდა, სიხარულისაგან ყეფას უმატებდა, ღამის ყბა ამოეგდო — „ჰავ, ჰავ, ბიჭებო, რა კარგად ვიმგზავრეთ მე, ჟანკამ და ფერდამ, ვაშა!“. ბიჭები თვალს ვერ აშორებდნენ, ასე მოჰქონდათ ყოველდღე პური. თითქოს მეფეს ხვდებიანო, ისეთი ზეიმი იმართებოდა. დიდი ხანია აღარ მოგზაურობენ ისე, როგორც ვორჟიშეკის დროს.

იყო დრო, როცა ვორჟიშეკმა ყეფა სულ არ იცოდა. თუმცა უკვე დიდი იყო და კბილები ისე დაეზარდა, რომ ბაბუას ტყავის საგარეო წვივსაკრავები დაუღრღნა.

ახლა ხომ უნდა გიამბოთ, ბავშვებო, როგორ იპოვნა ბაბუამ ვორჟიშეკი ან, უფრო სწორად, ვორჟიშეკმა ბაბუა. ერთხელ, ღამით, ბაბუა სამიკიტნოდან შინ ბრუნდებოდა, მხიარულ გუნებაზე იყო, მოდიოდა და გზადაგზა მოღიღინებდა. სიბნელეში უცებ სიმღერის მოტივი დაავიწყდა. შეჩერდა, გახსენება უნდოდა, ამ დროს რაღაც წკმუილი და კავკავი მოესმა. პირჯვარი გადაისახა, მიწაზე ხელები მოაფათურა. უნდოდა ენახა, რა იყო. ხელში ბანჯგვლიანი, თბილი, ხავერდივით რბილი, პატარა გორგალისოდენა რაღაცა მოხვდა, ხელზე დაისვა თუ არა, გაჩუმდა და თითქოს თაფლიანი ყოფილიყოს, თითს წოვა დაუწყო.

„ უნდა ვნახო, რა არის“, — გაიფიქრა ბაბუამ და თან წაიყვანა წისქვილში. საცოდავი დიდედა ელოდებოდა ბაბუას, რომ მისთვის „საკადრისი მოეხსენებინა“, მაგრამ ბაბუამ ეშმაკურად დაასწრო:

— უყურე, ჰელენო, რა მოგიყვანე! — დიდედამ მიუნათა. პაწაწა ლეკვი აღმოჩნდა, ჯერ კიდევ თვალაუხილავი და კაკლის ლებანივით ყვითელი.

— ამას უყურე! — გაუკვირდა ბაბუას. — ცუგრიავ, ვისი ხარ? — ლეკვმა, რასაკვირველია, არ უპასუხა. მაგიდაზე მოკუნტული კანკალებდა, თაგვივით პატარა კუდი უხტოდა, საცოდავად კავკავებდა და საძაგელმა ჭოჭიც კი დააყენა, რომელიც თანდათან მატულობდა.

— კარლე, კარლე, — დაუძახა ბაბუას შეწუხებულმა დიდედამ — კაცო, რას ფიქრობდი, რომ მოგყავდა? ამ ლეკვს ხომ დედა არა ჰყავს, ჭმევა არ უნდა?!

ბაბუა შეშინდა.

— ჩქარა, ჰელენ, რძე გაუცხელე და ღვეზელიც გაუკეთე.

დიდედამ ყველაფერი მოიტანა, ბაბუამ პურის გული რძეში ჩაულბო, ლეკვი მანამდე ჭამდა, სანამ მუცელი დოლივით არ გაუხდა.

ბოსელში იზრდებოდა ვორჟიშეკი, ვიდრე თვალებს აახელდა. საჭმელს საწოვრიდან ჭამდა, მერე კი ჯამიდან მიირთმევდა. თბილად იყო, როგორც დედასთან და მალე ისეთი ოინბაზი გახდა, რომ, ჰა!

ვორჟიშეკი, როგორც ყველა ძაღლი, გაიზარდა მხიარული და კბილბასრი, მაგრამ მას ერთი არაჩვეულებრივი ნაკლიც ჰქონდა: — ადამიანიშვილს მისი ყეფა და ღრენა ჯერ არ გაეგონა, მხოლოდ წკმუტუნი და ღმუილი იცოდა. ეს ყეფა არ იყო. დიდედა თავის თავს ეკითხებოდა: რა მიზეზია, ვორჟიშეკი რომ არა ჰყეფსო. სამი დღე გარინდებული დადიოდა და სულ ამაზე ფიქრობდა. მეოთხე დღეს ბაბუას ჰკითხა: ვორჟიშეკი რატომ არასდროს არა ჰყეფს?

ბაბუაჩემიც სამი დღე გაოგნებული დადიოდა, თავს აქნევდა. მეოთხე დღეს მეეტლე შულიტკას ჰკითხა:

— ჩვენი ვორჟიშეკი რატომ არასდროს არა ჰყეფს — შულიტკა ამ კითხვას უფრო სერიოზულად ჩაუფიქრდა, სამიკიტნოში წავიდა, სამი დღე და ღამე იფიქრა. მეოთხე დღეს ძილი რომ მოერია და თავბრუ დაეხვა, მიკიტანს დაუძახა და დანახარჯის გადასახდელად ჯიბიდან აბაზიანები ამოიღო, ითვლიდა, ითვლიდა, მაგრამ ეშმაკი რევდა, თუ რა იყო, ვერაფრით ვერ დაითვალა.

— რაო, შულიტკა, — უთხრა მიკიტანმა, — დედაშენს შენთვის თვლა არ უსწავლებია? შულიტკამ იმ წუთას შუბლში იტკიცა ხელი! დანახარჯი დაუტოვა და ბაბუასთან გაიქცა.

— ბატონო, — დაუძახა კარებიდან, — მიეხვდი, ვორჟიშეკმა ყეფა იმიტომ არ იცის, რომ დედას არ უსწავლებია!

— ჰო, ჰო, ეგრეა ჩემმა მზემ! — უთხრა ბაბუამ, — ეგ მართალია, ვორჟიშეკს დედა არ ახსოვს, ფერდამ და ჟანკამ ყეფა არ იციან, არსად მეზობლად ძაღლი არ არის, ვორჟიშეკმა არც იცის რა არის ყეფა. იცი, შულიტკო, ყეფა შენ უნდა ასწავლო, — უთხრა მას ბაბუამ.

შულიტკა ბოსელში ვორჟიშეკს გვერდით მიუჯდა, — ჰავ, ჰავ, — უხსნიდა, — კარგად დამიგდე ყური, ჯერ ასე ჰაა-ავვ, ჰაა-ავ, ჰავ, ჰავ, — ვორჟიშეკმა ყურები ცქვიტა, მუსიკასავით ჩაესმა და მოეწონა, თვითონაც არ იცოდა რატომ, გახარებულმა უცებ დაიყეფა. ეს ცოტა სხვანაირი ყეფა იყო. უფრო წკავწკავსა ჰგავდა, მაგრამ სწავლაში დასაწყისია ყოველთვის ძნელი. თქვენც ანბანი თავიდანვე ხომ უცებ არ გისწავლიათ. ფერდა და ჟანკა ყურს რომ უგდებდნენ, როგორ ჰყეფდა მოხუცი შულიტკა, გაკვირვებულნი მხრებს იჩეჩავდნენ და შულიტკას ისეთ პატივს სცემდნენ, როგორც უწინ.

ვორჟიშეკს დიდი ნიჭი აღმოაჩნდა, ყეფას ძალიან მალე სწავლობდა, როცა პირველად ფორანს გაჰყვა, მარჯვნივ თუ მარცხნივ ისე იყეფებოდა, თითქოს დამბაჩიდან ისროდნენ. ღრმა მოხუცებულობამდე ყეფა არ მოსწყენია და მთელი დღე ყეფდა. ძალიან უხაროდა, რომ ყეფა კარგად ისწავლა.

მაგრამ ვორჟიშეკს მხოლოდ შულიტკასთან ერთად სიარული და „მეეტლეობა“ როდი ევალებოდა. ის ყოველ საღამოს გარს შემოუვლიდა წისქვილს, კარმიდამოს უთვალყურებდა, ყველაფერი ადგილზე იყო თუ არა, ქათმებს შეუღრენდა, რომ არ ეკაკანათ, როგორც ზოგ დეიდას ბაზარზე, მერე კუდის ქნევით ბაბუას წინ დაუდგებოდა და დაჟინებით უყურებდა. თითქოს ეუბნებოდა: — ოღონდ წადი, დაიძინე, კარლე, ყველაფერს მივხედავო.

ბაბუა შეაქებდა ხოლმე მას და წავიდოდა დასაძინებლად. დღისით ბაბუა ხშირად დადიოდა სოფლებსა და დაბებში, რომ ხორბალი და სხვა რამ ეყიდა, თუნდაც სამყურას თესლი, უგრეხელი ან ხაშხაში. ვორჟიშეკი თან დაჰყვებოდა და ღამე შინ რომ ბრუნდებოდნენ, გზაში არაფრისა არ ეშინოდა, მაშინვე მიხვდებოდა, თუ ბაბუას გზა შეეშლებოდა.

ერთხელ ბაბუა ვიღაცისაგან თესლს ყიდულობდა, აქვე, ზლიჩკას ახლოს. იყიდა და ერთი წამით სამიკიტნოში შევიდა. ვორჟიშეკი სამიკიტნოს წინ უცდიდა, მაგრამ სამზარეულოდან საჭმელის კარგი სუნი მოუვიდა და იქითკენ გაიქცა; მართლაც იქ შინაურები ძეხვსა სჭამდნენ. ვორჟიშეკი ჩაცუცქული უცდიდა მაგიდის ქვეშ, ეგებ გემრიელი ლუკმა დაუვარდეთო. ამ დროს სამიკიტნოს წინ ბაბუას მეზობლის ფორანი გაჩერდა. მეზობელი ბაბუას სამიკიტნოსთან შეხვდა, სიტყვამ სიტყვა მოიტანა და ბოლოს ლაპარაკში

გართული მეზობელი და ბაბუაც ფორანში ჩასხდნენ, სახლამდე ერთად მივალთო და წავიდნენ. ბაბუას ვორჟიშეკი აღარ გახსენებია. ის ამ დროს სამზარეულოში ჩაცუცქული ძეხვის ნარჩენებს ელოდებოდა.

შინაურებმა ჭამა რომ გაათავეს, ძეხვის ნაფცქვენები ღუმელზე მჯდარ კატას გადაუყარეს. ვორჟიშეკმა პირი მოილოკა და მასაც ბაბუა მხოლოდ ახლა გაახსენდა; ძებნა დაუწყო, მაგრამ ბაბუა არსად არა ჩანდა.

— ვორჟიშეკ, — უთხრა მიკიტანმა, — შენი პატრონი აი იქით წავიდა, იქით, — უჩვენა ხელით. ვორჟიშეკი მიუსვდა და შინისაკენ მარტოკამ გასწია. ჯერ გზაზე მირბოდა, მერე კი იფიქრა: რა სულელი ვარ, ამ გორაკს გადავირბენ და დავეწევიო, გადაირბინა გორაკი, ტყეც უკვე საღამოვდებოდა, ვორჟიშეკს კი არაფრისა არ ეშინოდა.

დაღამდა. ხეების კენწეროებზე მთვარე გამოჩნდა. ვერცხლისფერი მიდამო ისე ლამაზად გამოიყურებოდა, ვორჟიშეკს გაოცებისაგან გული აუჩუყდა. ტყეში ხეების წყნარი შრიალი გაისმოდა. თითქოს ქნარზე უკრავდა ვინმე. ვორჟიშეკი მირბოდა. მიდამო უკუნეთს შთაენთქა, მაგრამ უცებ წინ ვერცხლისფრად განათდა. ქნარზეც თითქოს უფრო ხმამაღლა დაუკრეს. ვორჟიშეკს ბეწვი აეძაგრა. მიწას გაეკრო. გაბრუებულივით იყურებოდა. მის წინ ვერცხლისფერი მდელო გადაიშალა, მდელოზე ძაღლი-სირინოზები ცეკვავდნენ. ეს ლამაზი თეთრი ძაღლები, სრულებით თეთრი, თითქმის გამჭვირვალენი იყვნენ და ისე მსუბუქნი, რომ მათი სიმძიმით ბალახს ნამიც კი არ დასცვენია. ეს რომ ძაღლები არ იყვნენ, ამას ვორჟიშეკი მაშინვე იმით მიხვდა, რომ ის თავისებური სუნი არ სდიოდათ, რითაც ძაღლი ნამდვილ ძაღლს სცნობს. წევს ვორჟიშეკი სველ ბალახზე და უყურებს, როგორ დარბიან სირინოზები, ცეკვავენ, ერთმანეთს ეჭიდავებიან, ხან ჩრეს უვლიან, თავის კუდს დასდევენ, ისე მსუბუქად, ჰაეროვნად, რომ ბალახის ერთი ღეროც კი არ გაუქელიათ. ვორჟიშეკი დაკვირვებით ადევნებდა თვალყურს: თუ დაიწყებდა რომელიმე მათგანი ქექვას ან რწყილების ჭერას, ის თეთრი ძაღლი იქნებოდა და არა სირინოზი. მაგრამ არც ერთს არც ქექვა დაუწყია და არც რწყილების ჭერა. აქედან ნათელი იყო, რომ ისინი ნამდვილი სირინოზები იყვნენ. მთვარემ რომ მაღლა აიწია, სირინოზებმაც თავი ასწიეს და ისე ნაზად, ლამაზად დაიწყეს ღმუილი და სიმღერა, რომ ვორჟიშეკი მღელვარებისაგან ატირდა, მათთან ერთადაც კი იმღერებდა, მაგრამ ეშინოდა, სიმღერა არ გაეფუჭებინა.

სიმღერა რომ დაამთავრეს, ზვიადი, ბებერი ძაღლის გარშემო დასხდნენ. ის, ალბათ, ძლიერი ფერია ან მისანი იყო, მთლად ჭაღარა და დაბერებული.

— გვიამბე რამე, — სთხოვეს სირინოზებმა.

ბებერი ძაღლი-ფერია ჩაფიქრდა და მერე დაიწყო:

— გიამბობთ როგორ გააჩინეს ძაღლებმა ადამიანი. უწინ ნადირი სამოთხეში ცხოვრობდა, სამოთხეშივე კვდებოდა, მერე ცხოველები კვლავ იბადებოდნენ და მუდამ ბედნიერნი და კმაყოფილნი იყვნენ, ძაღლები კი, რაც დრო გადიოდა, მით უფრო დაღონებულები დაყიალობდნენ.

ერთხელ ღმერთმა ჰკითხა ძაღლებს:

— თუ კი დანარჩენი ნადირი ამ ქვეყნად ხარობს, თქვენ რადა ხართ დაღონებულები?

ყველაზე ხნიერმა ძაღლმა მიუგო:

— იმიტომ, უფალო, რომ დანარჩენ ნადირს არაფერი აკლია. ჩვენ, ძაღლებს, ცოტა ჭკუა გვაქვს და გვესმის, რომ ჩვენზე მაღალი არსება ხარ, ჩვენ ყნოსვით ყველაფერს ვიგებთ, შენ კი ვერ გიღებთ ალღოს და ამიტომ გულს ძალიან გვაკლია. უფალო, შეგვისრულე თხოვნა, ისეთი ღმერთი შექმენი, რომ მისი შეცნობა შეგვეძლოს!

უფალს გაეცინა და თქვა:

— მომიტანეთ ვინმეს ძვლები და მე შევქმნი ღმერთს, რომლის ალღოს აღება შეგეძლებათო.

გაიქცნენ ძაღლები და ყველამ სათითაოდ რაღაცის ძვალი მოიტანა. ერთმა ლომის, მეორემ ცხენის, მესამემ აქლემის, ზოგმა კატის, მოკლედ ყველა ნადირის, გარდა ძაღლისა, რადგან ძაღლი არ ეკარება არც ძაღლის ხორცს და არც ძაღლის ძვალს. ძვლების დიდი გროვა დადგა. ამ ძვლებისაგან ღმერთმა ადამიანი გააჩინა, რომ ძაღლებს თავისი ღმერთი ჰყოლოდათ და მისი ალღოს აღება შეძლებოდათ. და რადგან ადამიანი ყველა ნადირის ძვლებისაგან არის გაჩენილი, გარდა ძაღლისა, მას დაჰყვა ყველა ნადირის თვისება: ძალა ლომისა, შრომისმოყვარეობა აქლემისა, მლიქვნელობა კატისა, სულგრძელობა ცხენისა, აკლია მხოლოდ ერთგულება ძაღლისა.

— გვიამბე კიდევ რამე, — სთხოვდნენ მას ძაღლი სირინოზები. ბებერი ძაღლი-ფერია კვლავ ჩაფიქრდა და კვლავ დაიწყო:

— დიდი ხნის წინათ ძაღლებს ქვეყანაზე თავისი სამეფო და დიდი სასახლე ჰქონდათ, მაგრამ ადამიანებს შეშურდათ და იმდენი ჯადო ფარულად მერე ძაღლების სამეფოცა და სასახლეც მიწამ არ შთანთქა; გინც სწორედ იმ ადგილას ღრმად მოთხრის მიწას, იპოვის გამოქვაბულს, სადაც იშვრფება ძაღლების განძი.

— როგორია ძაღლების განძი? — მოუთმენლად შეეკითხნენ სირინოზები.

— ეს არაჩვეულებრივად ლამაზი დარბაზია, — თქვა ბებერმა ფერიამ, — ბოძები საუკეთესო ძვლისა აქვს, მაგრამ განა დაღრღნილი ძვლებისა! ზედ იმდენი ხორცი აქვს, როგორც ბატს ბარკალზე. შიგა დგას ღორის ხორცისაგან გაკეთებული სამეფო ტახტი, ზედ მშვენიერი შაშხისგან გაკეთებული კიბეებით ადიხარ. საფეხურებზე საძეხვე ნაწლავებისაგან ნაქსოვი ნოხი აგია. ახლა კი ვორჟიშეკმა თავი ვეღარ შეიკავა, წამოხტა და ყეფა დაიწყო:

— სად, სად, სად არის ეგ განძი? ძაღლების განძი? სად, სად, სად არის?

მაგრამ ძაღლი—სირინოზები და ბებერი ფერიაც იმ წამსვე გაუჩინარდნენ. ვორჟიშეკმა თვალები მოიფშვნიტა; აქ აღარაფერი იყო, გარდა ვერცხლისფერი პატარა მდელოსი. მათი ცეკვით ბალახის არცერთი ღერო არ გათელილა. მიწაზე ნამის ერთი ცვარიც არ ჩამობერტყილა, წყნარი მთვარე დანათებდა მშვენიერ მდელოს, რომელსაც გარშემო გალავანივით ერტყა შავად ჩაბნელებული ტყე.

ვორჟიშეკს ახლა კი გაახსენდა, რომ შინ წყალში დამბალი პური მაინც ელოდებოდა და რაც ძალა და ღონე ჰქონდა შინისკენ მოკურცხლა.

მას აქეთ, როცა კი ვორჟიშეკი ბაბუასთან ერთად მინდორში ან ტყეში გაივლიდა ხოლმე, უცებ ძაღლების ჩამარხული განძი გაახსენდებოდა და გაცხარებული ოთხივე ფეხით მიწაში ღრმა ორმოს თხრას დაიწყებდა. ეს ამბავი მან შეატყობინა მეზობლის სხვა ძაღლებსაც, იმათ კიდევ თავიანთ მეზობლებს და იმათ კიდევ სხვებს. ამიტომ ძაღლებს მინდორზე ყოფნისას ახსენდებათ ოდესღაც ჩამარხული ძაღლების სამეფო და მიწის თხრას იწყებენ, თან ყნოსავენ სადმე მიწის სიღრმიდან ლორისგან გაკეთებული, ძაღლების ყოფილი სამეფო ტახტის სუნი ხომ არ ამოდისო.

ჩეხურიდან თარგმნა
ელენე ერისთავმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სოფლის ჰაერი

მზის ალმური დაასცხრა მიწას. ყინულის ზოდებს ცრემლის ღარები დაეტყო. ჯერ პაწია ნაკადულებად იწყეს ჩხრიალი, მერე შეერთდნენ, ნიაღვრად იქცნენ და ზათქით დაეშვნენ ვიწრო ხაროებში. ახლადგაფუებული მიწის სურნელმა ყნოსვა გაუღიზიანა პირუტყვებს, ველისკენ გაიწიეს და აბღავლდნენ. მზე სარკმელში დაჟინებით იჭყიტებოდა. კარგამოკეტილ ბოსელში შფოთავდნენ ძროხები, ფეხებს აბაკუნებდნენ და უგემურად წიწკნიდნენ თივას. ფერმის გამგე და მწყემსი დაობდნენ:



საზაფხულო საძოვრებზე

— გუგულიკა! დედას გაფიცებ, ნუ დამადებ ამ ძროხების ცოდვას, გამიშვი, გავრეკო საძოვარზე.

— მერედა, სად არის ბალახი, — ანჩხლობდა გუგული სხირტლაძე.

ბალახი ჯერ მართლაც პატარა და თოთო იყო, მაგრამ მომთაბარე კაცს გული მთებისკენ მიუწევს. ცის ქვეშ, ბუნებასთან ჭიდილი, მუდამ ძილფხიზელი ყოფნა მონატრებია ვაჟკაცს.

გუგულისაც ესმის სილოვანის გულის ტკივილი, მაგრამ თუ პირუტყვმა ბალახი იგემა, მერე მშრალ საკვებს არ მიეკარება და წველადობა იკლებს. ამიტომ არ უთმობს სილოვანს, უცდის ბალახის მოძალებას. ისედაც ნაკლები წველადობა იყო ზამთარში. მაინც რა მკაცრი ზამთარი დადგა წელს, ასეთი დიდთოვლობა დიდი ხანია არ ახსოვთ აქ.

ბარდნიდა განუწყვეტლივ, თოვდა გააფთრებით. ფართო ფანტელები იფრქვეოდა ირგვლივ. თეთრად დაბამბულ ხეებს ტოტები ატყდებოდა. მთის მწვერვალებიდან მოწყვეტილი ზვავი მთის კალთებს ასკდებოდა და გრიალით ისეგუნებოდა უფსკრულში. გუგული მწყემსებთან და მწველავებთან ერთად ფერმაში დაბინავდა. ასზე მეტი ძროხა ებარა მას.საკვები გამოულეველი ჰქონდა, მაგრამ ბოსელში შემოტანა გაჭირდა. გაკვალავდნენ გზას და ვიდრე თივის ძნას მოხსნიდნენ, უკვე ამოვსებული იყო ნაკვალევი. თოვლის სიმძიმისაგან ჭრიჭინებდა ჭერი და ნიჩბებით ხელში რიგრიგობით ადიოდნენ მწყემსები სახურავზე, ბათქით ეშვებოდა თოვლი ძირს. მთიდან გადმოხვეწილი ნადირი დაიყმუვლებდა სადღაც. თოფის ქუხილს ნაგაზები გნიასით აყვებოდნენ და მოაწყდებოდნენ კარს.

ფერმაში კი განუწყვეტლივ გიზგიზებდა ცეცხლი.

მკლავდაკაპიწებული ქალები ვეებერთელა ქვაბებს შემოდგამდნენ ცეცხლზე, ხარშავდნენ ძროხებისათვის საჭმელს, დაკრიალებულ ქვაბ-ქოთნებში მოჩხრიალებდა ქათქათა რძე.

გუგულის მაინც ეშინოდა, თოვლის სამეფოდ ქცეული არემარე რაღაცნაირ შიშს გვრიდა. დიდხანს რომ გაგრძელდეს თოვლი, საქონელი არ დამეხუთოს, წველადობამ არ იკლოსო, თუმცა ზამთრის კვალობაზე ყოველთვიურად გადაჭარბებით ასრულებდა გეგმას. მაგრამ მაინც ებუზღუნებოდა ქალებს: გუშინდელზე ნაკლები დღეს ჩამოგიწველიათო.

ქალებმა იციან გუგულის ხასიათი. ჩუმჩუმად ჩაიცინებენ და აფუსფუსდებიან: ზოგი კარაქს დღვებავს, ზოგს ყველი ამოყავს, ზოგი ბოსელს ასუფთავებს...

უცბათ კარებში ვიღაცის ვეებერთელა ლანდი გაწვება და ომაზიანად დაიძახებს:

— თქვენი ჭირი შემეყარა, ივარგეთ ქალებო, ივარგეთ!

ეს კოლექტივის თავმჯდომარეა. არ შეიძლება თეოფილემ დილაუთენია ფერმაში არ შეიაროს. გუგულის წველადობის აღრიცხვიანობის სია გამზადებული აქვს და თავმჯდომარეს მიაწოდებს. იგი დაკვირვებით ჩაიკითხავს, ულვაშებში კმაყოფილებით ჩაიცინებს:

— ვაჟკაცი ხარ, ჩემო გუგულიკა, ვაჟკაცი! — ეტყვის და გრძელი ნაბიჯებით კანტორისკენ გაუყვება გზას.

გუგული მიმავალ თავმჯდომარეს თვალს გააყოლებს.

...1947 წელს დაამთავრა ამბროლაურის საოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი გუგულიმ და სოფელ წედისში გაანაწილეს. 1950 წელს კი სოფელ მთისკალთაში გადმოიყვანეს სამუშაოდ. მოსვლისთანავე შეატყო გუგულიმ, რომ თავმჯდომარეს თვალში არ მოუვიდა იგი. „ამ მთიან სოფელში ზოოტექნიკოსად მუშაობა ვაჟკაცსაც კი გაუძნელდება და ამ გოგუნამ რა უნდა გააწყოსო“, — გაიფიქრა თავმჯდომარემ და მკვახედ უთხრა:

— თუ მუშაობას შესძლებ, იმუშავე.

გოლიათი კაცის ნათქვამმა კი არ დააბნია იგი, პირიქით, გააბრაზა. ნეტავ, სიმაღლით ხომ არ მაშინებს! თეოფილეს მწყრალად შეხედა და მაშინვე ფერმაში წასვლა მოითხოვა.

მეორე დღეს კი გუგულიმ იალაღებისაკენ გასწია. მიდის ქალიშვილი და რაღაც უცხო შიში მისდევს თან. როგორ შემხვდება ახალი კოლექტივი? „ეს ხომ ჩემზეა დამოკიდებული“.—ფიქრობს და ტოტებგაშლილი ცაცხვისა და წაბლის ხეებით დაბურულ ვიწრო ბილიკს ხან აღმა ფერდობზე აყვება, ხან ასკილისა და თხილის ხეივნით დაბლა დაეშვება. საკურიაოს მთას წაადგა და მის თვალწინ ყვავილებით მოჩითული ჭოლევის საძოვარი გადაიშალა, ჭოლევის საძოვარი, რომელზეც სიმონ ერისთავი ჩიტსაც არ აჭაჭანებდა. ორჯერ გაჭყიდა იგი მებატონემ — ჯერ მთისკალთელებზე, მერე ბარელებზე. იყო დაუსრულებელი ჩხუბი და შუღლი.

ოფლში გაღვრილ ქალს მწყემსები გულთბილად შეხვდნენ. ხანშიშესულ ქალებს შეეცოდათ კიდეც:

— გაგიჭირდება, შვილო, ამ სიშორეზე სიარული.

მაგრამ გუგულის არ დაჭირვებია. ყოველ ცისმარე დილას სათითაოდ ჩამოუვლის ძროხებს, თუ რომელიმე ჭუჭყიანი აღმოჩნდა, მწველავს უსაყვედურებს:

— შე ქალო, ამ ჭუჭყიანი ძროხიდან ჩამოწველილი რძე არც დაილევა. — მერე თვითონ მოარბენინებს ჯაგრისს და გულმოდგინედ გაწმენდს. პირუტყვს ფლოქვებს გაუსინჯავს, ეშინია ეკალი არ ჰქონდეს სადმე და ფეხი არ დაუზიანდეს. თუ ფეხი ეღრძო, ნაზად გადაუხვევს არტაშანით. თავის დროზე ატარებს აცრას. თუ ისეთ დაავადებას წააწყდა ცხოველებში, რომელიც ვეტექიმის ყურადღებას თხოულობს, გუგული კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ცეცხლს დაუნთებს და რაიონიდან ვეტექიმების მთელ კომისიას ამოიყვანს. ზრუნავს საკვების მოპარაგებაზე, ახალი

ჯიშის შერჩევაზე. მან ადგილობრივი ჯიშის ძროხა შვეიცარულ ჯიშთან შეაჯვარა და შესანიშნავი შედეგი მიიღო. შეჯვარებული ჯიში დღეში 10-12 ლიტრ რძეზე მეტს იძლევა. არცერთი ხბო ან ძროხა არ გამოკლებია ფერმას, გადიდდა საქონლის სულადობა...

...ხო და, კარგი ყველას უყვარს. შრომის მოყვარე ქალიშვილი, კოლმეურნეობის თავმჯდომარემ და მთელმა სოფელმა საკუთარი შვილივით შეითვისეს. გუგული სულ მალე ამ სოფლის პატარძალი გახდა...

პატარძალს არ ეცალა საპატარძლოდ. არც სიძე ნებივრობდა.

ცას მტრედისფერი გადაეკვრება თუ არა გელა სხირტლაძე შავად გატრუსული ძარღვიანი მკლავებით მარჯვედ იქნევს ცელს სათიბში. გუგული კი ფერმის კარებს შეაღებს და დილის 5 საათიდან დაღამებამდე ერთხელაც არ ჩაიმუხლებს. იგი ჯერ ჩამოწველილ რძეს აღრიცხავს, მერე ერთ ნაწილ რძეს ჩასაკვეთად გაუნაწილებს ქალებს, მეორე ნაწილს კი — კარაქის გამოსახდელად. თვითონ ნახირს გაისტუმრებს საძოვრებზე, მერე ხბოებს მიხედავს. დღის 12 საათზე საწყობის გამგე მოადგება ჭიშკარს.

ყოველ დღე კასრებში ლამაზად ჩაწყობილ 65 კილოგრამ ყველს და 90 კილოგრამ კარაქს აბარებს საწყობს.

მერე გუგული სათიბებისაკენ გაუძღვება ქალებს. გავარვარებულ მზის გულზე ფოცხებით თივას აგროვებენ, აყენებენ ზვინებად. კარგად გამხმარ თივას ფერმაში ეზიდებიან და ინახავენ. წინათ სასადილოს სათიბებიდან ხოხიალა ურმით ჩამოჰქონდათ თივა. გზის უქონლობამ წელში გაწყვიტა ხალხი. ყველა წუხდა, მაგრამ საქმის წამოწყება ვერავინ ითავა. 25 წელი კოლმეურნეობის თავმჯდომარეობაში გამობრძმედილი თეოფილე სხირტლაძე ჩაუდგა სათავეში ხალხს. მეზობელ სოფლებს ჩამოუარა: ფარახეთი, შარდომეთი, სხვავა, ზემობარი, ქვემობარი, ფუტიეთი, ჭიბრევი და სამთისი ერთ ძალად გაერთიანდნენ და რამდენიმე თვეში სამანქანო გზაც მზად იყო. ახლა თივით დატვირთული მანქანა მანქანას მოსდევს...

გასულ წელს, სანამ 350 ტონა სილოსი არ ჩადეს, ვერ მოისვენა გუგულიმ. და გასულ წელს მთისკალთელებმა რძის ჩაბარების გეგმა ჯერ კიდევ აგვისტოს თვეში შეასრულეს. წლის ბოლოს კი 350 ცენტნერით მეტი რძე ჩააბარეს სახელმწიფოს. წელს კი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების გადაწყვეტილებებს უფრო მეტი მაჩვენებლებით გასცემენ პასუხს...

ჯერ ცის კიდეს ცეცხლი გაუჩნდა, მერე მაღლა, მაღლა ამოიწია მზე და ხიხათის მთას გადმოანათა. აქა-იქ შემორჩენილი თოვლის ლაქები და ყინულის ზოლები მარგალიტივით აბრჭყვიალდა. ცელქმა ნიავმა ველზე გადაიქროლა და ახლადამწვანებულ მდელოს მიუალერსა. ნახირი ორღობეში ამოიზლაზნა და საძოვრებს მოაბღავლა.

ოლია რევია

ჩვენი სოფლის ქალები

ქოსა ბავშვი აკა ბვიჯოქოს

პატარები უმეტეს შემთხვევაში ჯიუტები არიან. ზოგჯერ ჩვენც დათმობაზე მივდივართ, რითაც ხელს ვუწყობთ ეს სიჯიუტე ბავშვის ხასიათში ჩვევად იქცეს. ამას ხშირად არასასურველი შედეგი მოსდევს. ამიტომ არ შეიძლება ბავშვის სურვილების სადავის მიშვება. აღმზრდელის ვალია ასწავლოს ბავშვს შინაგანი სურვილების შეკავება, უფროსისადმი მორჩილება. არსებობს მრავალი წესი, რომელთა გონივრული გამოყენებით ბავშვი თანდათან დამჯერი ხდება. ერთადერთი ასეთი საშუალება მომთხოვნელობაა. მოთხოვნა აღზრდის ელემენტია, რომლის ძალა განისაზღვრება როგორც ფორმით, ისე შინაარსით. იმისათვის, რომ ბავშვი გამგონე იყოს და თქვენი მოთხოვნა მიიღოს, უნდა იცოდეთ, როგორ მოთხოვოთ.

ზოგიერთ მშობელს სიტყვის დიდ ძალად დაყვირება მიაჩნია, ყვირილით ცდილობს ჯიუტი ბავშვის დამორჩილება. მაგრამ ნათქვამის ძალა განისაზღვრება არა ბგერის ძალით, არამედ მისი საიდუმლოებით. ამ ხელოვნებას რომ დაეუფლოთ, დაგჭირდებათ სპეციალური ვარჯიში ხმის დასაყენებლად. ნუ გაგიკვირდებათ ეს ამბავი და ნურც გეუცხოვებათ. გამოჩენილი საბჭოთა პედაგოგი ა. ს. მაკარენკო დიდხანს ვარჯიშობდა მსახიობთან ხმის დასაყენებლად.

ანტონ სიმონის ძე ერთ საღამოს ნაცნობ მსახიობს ეწვია და თხოვა, დახმარებოდა ხმის დაყენებაში.

— რაო, სიმღერა გინდა ისწავლო?! — გაოცდა მსახიობი.

— რა თქმა უნდა, არა! — სიცილით მიუგო ანტონ სიმონის ძემ და აუხსნა მეგობარს, რატომ ჭირდებოდა ხმის დაყენება. ამ ვარჯიშის შემდეგ ანტონ სიმონის ძე დაეუფლა ნათქვამის ძალას. მისი ბრძანებები გამეორებას როდი საჭიროებდნენ.

ნათქვამის ძალის საიდუმლოება მარტო ბგერათა ჟღერადობით როდი აიხსნება. მნიშვნელობა აქვს მიმიკასაც, და პოზასაც.

მოთხოვნის ფასი და წონა მარტო ფორმით როდი განისაზღვრება. იმასთან ერთად თუ როგორ მოთხოვოთ, ისიც უნდა იცოდეთ, რა მოთხოვოთ.

უპირველეს ყოვლისა, მოთხოვნა უნდა იყოს კონკრეტული, მკაფიო და ბავშვისათვის გასაგები. მოთხოვნა ბავშვმა სიტყვაშეუბრუნებლად რომ მიიღოს, უნდა დაიცვათ ლოგიკა. მაშინ ბავშვი შეიცნობს სიმართლის ძალას და უსიტყვოდ დაგემორჩილებათ, ხოლო ულოგიკო მოთხოვნისას მას ვერ დაიმორჩილებთ. თუ თქვენ ძალდატანების მეთოდს მიმართავთ, ბავშვი დაგემორჩილებათ მხოლოდ შიშით, და ეს არ ნიშნავს იმას, რომ მოდრიკეთ მისი სიჯიუტე.

ცხადია, ჩვენ ვერ შევადგენთ იმ მოთხოვნათა სიას, რომელიც შეიძლება ბავშვს წავუყენოთ, მაგრამ არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მოთხოვნის ძალის პირისპირ დგას ბავშვის სურვილები. ბავშვისადმი მოთხოვნაში გონივრული და ზომიერი უნდა ვიყოთ. არ უნდა წავუყენოთ მას უადგილო, შეუსაბამო და სასაცილო მოთხოვნები. სულერთია, ბავ-

შვი ასეთ მოთხოვნებს მაინც არ შეასრულებს, ამასთან ეს არც აღზრდის თვალსაზრისით იქნება გამართლებული.

თუ თქვენ ბავშვს ნება მიეცით ტელევიზორთან დაჯდეს და სანახაობით გაერთოს, ნუღარ ეცდებით შეწყვიტოს სანახაობის ცქერა იმ მომენტში, როდესაც ეკრანზე მოვლენათა ხლართების საინტერესო გახსნაა და ამ დროს მეცადინეობას მიყოს ხელი. ეს მოთხოვნა ნამდვილად უადგილოა. ამ ამბავზე თავის დროზე უნდა გეფიქრათ, თუ ბავშვზე ძალდატანებით იმოქმედებთ, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მან მიიღო თქვენი მოთხოვნა. დაგემორჩილებათ შიშით, მაგრამ მეცადინეობას გულს ვერ დაუდებს.

ერთფეროვნება და ჩაციება ძალას უკარგავს მოთხოვნას. ზოგიერთ მშობელს ხშირად ერთი და იგივე სიტყვა აკერია პირზე — „არ შეიძლება". იგი ჩააცივდება ბავშვს და ყოველი ფეხის გადადგმაზე აკრძალვას შეაგებებს. ეს ამბავი პატარას ნერვებს უღიზიანებს, იწყებს ჟინიანობას და, ზოგჯერ, რომელიმე იმპულსური ქცევა მოულოდნელად იფეთქებს ხოლმე მასში.

ოთხი წლის გია ოთახში დარბის, ნივთები უღიმიან და იზიდავენ მის ყურადღებას. მამის სამუშაო მაგიდიდან წითელყდიანი წიგნი დაითრია, იატაკზე მოიკალათა, წიგნი მუხლებზე დაიდო. ვერ მოასწრო გადაფურცლა, რომ დედის აკრძალვამ წიგნი უკანვე დააბრუნებინა. გია ჯერ გაიბუტა, მაგრამ მის თვალწინ მალე ახალი არჩევანი გადაიშალა. რა მშვენიერია ეს ჩინური სურა. რა წარმტაცი სურათებია მასზე გამოყვანილი. თითები თავისთავად, გიას დაუკითხავად მიცურავენ სურისაკენ. სურს ახლოს გასინჯოს მხატვრობა. იგივე აკრძალვა და თითები უკან ბრუნდება. ბავშვი აქეთ-იქით იხედება. აქაც აკრძალვა, იქაც აკრძალვა. ერთ ადგილზე შედგა თავჩაღუნული, სატირლად მომზადებული უეცრად გაიმართა, თითქოს შეტევისათვის მოემზადაო, გაქანდა, კუთხეში ამაყად მდგომ თავის სათამაშო ცხენს დააცხრა, გადმოაბრუნა, მუცელზე შედგა და მთელი ძალით ბუქნა გამართა. გული რომ იჯერა, დედას გამომწვევად გადახედა. მუცელჩანგრეულ „მერანს" წიხლი ჰკრა და გარეთ გავარდა.

— ნამდვილად გაგიჟდა ეს ბიჭი! — წამოიძახა გოცებულმა დედამ.

ასეთ აკრძალვებს ბავშვის ხასიათში სასარგებლო ცვლილებების შეტანა არ შეუძლია. მართალია, ბავშვს ყველა ნივთით თამაშის ნებას ვერ მივცემთ, მან უნდა იცოდეს, რომელი ნივთია აკრძალული და რომელი ნებადართული. ამის გაგება მას პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე უჩნდება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ბავშვს გასაქანი არ მივცეთ და ყოველი ფეხის ნაბიჯზე აკრძალვა შევაგებოთ. უნდა გვახსოვდეს, რომ ბავშვი ცნობისმოყვარეა. ამაზე უნდა იფიქროს გიას დედამ...

როდესაც ბავშვი ჯიუტობს და არ გვიჯერებს, ნუ ავუხირდებით, ზოგჯერ დავუთმოთ.

ბავშვის სიჯიუტის მოტეხის მეტად ეფექტური საშუალებაა ინტერესის გადართვა, რაც ნიშნავს—იმას, რომ ბავშვში აღძრული ერთი მიუღებელი სურვილი შევუცვალოთ მეორე, უფრო მისაღები და მიზანშეწონილი ინტერესით. შესრულება ძნელია. ამაში მეც დაგეთანხმებით თუ თქვენც ასე ფიქრობთ, მაგრამ არსებობენ ისეთი მშობლებიც, რომლებისთვისაც შესრულება ისეთივე ადვილია, როგორც თქმა. შევაღოთ მათი საცხოვრებელი ბინის კარი და თვალყური ვადევნოთ მათ ქცევას.

— ხელს ნუ ახლებ, ნუზო, მაგ ბროლის ლარნაკს, შეიძლება უცებ გატეხო.

— არა, დედიკო, არ გავტეხავ, სახლობანა უნდა გავმართო!

ამ სიტყვებთან ერთად, თითისწვერებზე შემდგარი ხუთი წლის ნუგზარი მაგიდაზე დადგმულ ყვავილებიან ლარნაკს წაეპოტინა.

— არა მეთქი! ლარნაკი საბავშვო ნივთი არ არის! — კვლავ ჯავრობს დედა.

— არის! — ჯიუტობს ნუგზარი.

— ნუზო! — ბავშვი იქით იხედება. საწოლი ოთახის ღია კარში მამა დგას — მოეშვი მაგ ლარნაკს. მივხედოთ შენს ცხენს, აგერ კუთხეში ეულად რომ დგას. ავუშენოთ სახლი. ჰა, რას იტყვი, არ ავუშენოთ?

ბიჭებს უყვართ შენება. ნუგზარს ახალი საძიებელი გაუჩნდა, მამასთან მიირბინა და მოსიყვარულე თვალები შეანათა.

მამამ „კონსტრუქტორი" აიღო, ყუთიდან საამშენებლო დეტალები ამოალაგა და საქმეს შეუდგა. თუ როგორი საჯინიბო ააგეს მამა-შვილმა ჩვენთვის საინტერესო არ არის. საინტერესოა ის, რა ხდება მეორე ოჯახში...

— მომეცი, მზია, სამართებელი! — ჯავრობს დედა.

— ალა!

— სამართებელი საბავშვო ნივთი არ არის.

— ალის!

— მზია! — მათხოვე შვილიკო სამართებელი, ფანქარს წვერი უნდა შევუსწორო.

მზიამ მამასთან მიირბინა, სამართებელი გაუწოდა და უკან მიღების მოლოდინში გულუბრყვილო თვალებით მიაჩერდა.

მამა საღამოობით სამუშაო მაგიდას უზის, ხაზავს და წერს, ცხადია, სამართებელიც ჭირდება. რა არის აქ საეჭვო და მზიაც ელის.

მამამ ფანქარს წვერი შეუსწორა. ფანქარი და სამართებელი მაგიდის უჯრაში შეინახა. მზიას შეხედა, იგი მოქუფრული იდგა. მამამ იგრძნო, ბავშვი სატირლად ემზადებოდა, ადგა, შვილს თავი გადაუწია, თვალებში ღიმილით ჩახედა.

— შენს დედოფალას ახალი კაბა უნდა, ტირის. ვთხოვოთ დედას ნაჭრები, ჰა, რას იტყვი, არ შევუკეროთ?

ბავშვმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და მამა-შვილი საქმეს შეუდგნენ.

მიდგომის მეორე საშუალებად სიტყვა უნდა აირჩიოთ. სიტყვა თესლია, საქმე კი ნაყოფი—ამბობს აკაკი. სიტყვები მიზანშეწონილად უნდა გამოვიყენოთ და არა შენიშვნების და დატუქსვების გრძელი სერიების შესადგენად.

— რა მეშველება ასეთი ჯიუტი ბავშვის ხელში! — წამოიძახა აღშფოთებულმა დედამ.

— რა მოხდა? — იკითხა ამ დროს ოთახში შემოსულმა მამამ.

— არ მემორჩილება, ვერ მივაჩვიე სადილის წინ ხელების დაბანას.

— თითები სუფთა მაქვს, — თქვა პატარა აჩიკომ და ხელები ზურგს უკან დამალა.

— რას ჩაცივებიხარ, თუ არ სურს, ნუ დაიბანს. ჭუჭყიან ბავშვს ნებას არ მივცემ ჩემს სუფრაზე ისადილოს. წაიღე მაგისი ჯამი, თვითონაც წაიყვანე, დაე, საკუჭნაოში ისადილოს კატის კნუტთან ერთად, — თქვა მამამ ცივი ხმით და ბავშვს ზურგი შეაქცია.

სადილისათვის გაშლილ სუფრას რომ შემოუსხდნენ, ოთახში აჩიკო შემოიჭრა. გულისპირზე წყლის წვეთების ნაკვალევი აჩნდა, თმა სველი და გვერდზე გადავარცხნილი ჰქონდა. მან მამასთან მიირბინა, ხელები გაუწოდა და თვალებში შეაჩერდა.

— ოო! მომწონხარ დაბანილ-დავარცხნილი! — თქვა მამამ და ბავშვს შუბლზე აკოცა.

— დასვი, დედიკო, შენს გვერდით. მინდა პირდაპირ ვუყურო ჩემს ლამაზ ბიჭს.

აჩიკოს მამას აღმოაჩნდა არა მარტო სიტყვის ძალა, არამედ იმის უნარიც, რომ შეექმნა ბავშვისათვის ქცევის განწყობა.

ესაა პედაგოგიური ტაქტი და საუკეთესო მიგნება, მაგრამ, მეგობრებო, ეს ხელოვნება ვერაფერს გიშველით, თუ თქვენ ბავშვს ექნება პრაქტიკული გამოცდილება იმისა, რომ დანაპირებს არ შეუსრულებთ. სამწუხაროდ, ასეთი შემთხვევები გახშირებულია. ეს ამბავი გავლენას და ძალას უკარგავს მშობლის მოთხოვნას.

აჩიკოს უტყუარი ალღო კარნახობდა, რომ მამის ნათქვამი სისრულეში იქნებოდა მოყვანილი. ამავე ალღომ უბიძგა ბავშვს დამორჩილებოდა მშობლის სურვილს.

ნათქვამია, „ჩვეულება რჯულზე უმტკიცესია" და თქვენც ნუ მიაჩვევთ ბავშვებს, რომ პატარაობიდანვე თქვენი მოთხოვნა არაფრად ჩააგდონ. გახსოვდეთ, რასაც ბავშვს დაპირდებით, უსათუოდ უნდა შეუსრულოთ. ნუ აჩქარდებით დამუქრების თუ დაპირების დროს. არ უნდა ლაპარაკობდეთ გუნება-განწყობის მიხედვით, საკუთარი ტემპერამენტის დასაცხრობლად. თქვენს მოქმედებას არ უნდა მართავდეს თავ-პირში მოწოლილი სისხლის გუგუნი. უნდა შეძლოთ თავის დაჭერა და ბავშვის წინაშე საკუთარი ღირსების დაცვა. იცოდეთ, რომ ამაზე ბევრი რამეა დამოკიდებული. ბავშვი არ უნდა გრძნობდეს, რომ მას სჯით იმიტომ, რომ გაწყენინათ და სამაგიეროს უხდით. უნდა მიხვდეს, რომ გიყვართ და ასწავლით როგორ მოიქცეს.

გახსოვდეთ, რომ ჩვეულების ძალა ადამიანის ქცევაზე მთელი სიცოცხლის მანძილზე ბატონობს და არ უნდა მიაჩვიოთ ბავშვები ჯიუტობას და დაუმორჩილებლობას.

პედაგოგი **ჯულიეტა გრძელიშვილი**

სახის ვარჯიში

კოსმეტიკა

ყველა ადამიანს სურს იყოს ლამაზი, მოხდენილი და მოქნილი. ეს შეიძლება მიღწეულ იქნეს ფიზიკური ვარჯიშით. სისტემატური ვარჯიში აუმჯობესებს ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობას, ახანგრძლივებს ახალგაზრდობას და დიდხანს უნარჩუნებს სხეულს ფორმას და სილამაზეს. ყოველივე ამისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს საერთო გამამაგრებელ რეჟიმს და დიეტის დაცვას, აგრეთვე მთელი სხეულისა და, კერძოდ, სახის ვარჯიშთა სათანადო კომპლექსის შესრულებას.

ცნობილია, რომ თავის მოძრაობა ამაგრებს კისრისა და ზურგის კუნთებს, აწესრიგებს კისრის კუნთებში სისხლის მიმოქცევას. ამისათვის საჭიროა დრო და დრო კისერი მოხაროთ წინ, უკან და გვერდებზე, აგრეთვე თავი ატრიალოთ ვერტიკალური ღერძის ირგვლივ და წრიულად თავი უნდა ამოძრაოთ ნელა, რომ არ დაირღვეს ტვინში სისხლის მიმოქცევა. მაგრამ თუ ადამიანს აქვს ჰიპერტონია, გულის მძიმე დაავადებანი, სასუნთქი აპარატის მოშლილობა, არ შეიძლება ასეთი ვარჯიშის ჩატარება.

ჩვენ არ შევეხებით სპეციალურ ვარჯიშებს თვალებისათვის. იგი ტარდება ექიმის მეთვალყურეობით, მხედველობის დეფექტების გამოსწორების მიზნით. გაგაცნობთ მხოლოდ იმ ვარჯიშებს, რომლებიც თვალის კაკლის კუნთების გასამაგრებლად ტარდება:

1. დაახლოებით 10 წუთი ადევნეთ თვალი საათის მოძრავ ქანქარას, რომელიც თვალების დონეზე (პირდაპირ) მდებარეობს. თავი უძრავად გეჭიროთ. შემდეგ იგივე ვარჯიში გაიმეორეთ საათის მდებარეობის შეცვლით (მაგალითად, საათი დაკიდეთ უფრო მაღლა), თავის მდებარეობის შეუცვლელად;

2. ყურადღებით დააკვირდით რომელიმე შორს მდებარე საგანს, შემდეგ ცქერა სწრაფად გადაიტანეთ სხვა, ახლო მდებარე საგანზე. გაიმეორეთ ეს მოძრაობა რამოდენიმეჯერ.

ტუჩების ლამაზი ფორმის შესანარჩუნებლად და ღრძილების გასამაგრებლად ძალზე სასარგებლოა ღეჭვითი მოძრაობების ჩატარება (ცხადია, ეს ვარჯიში უნდა შეასრულოთ მაშინ, როცა მარტო იქნებით), კარგია აგრეთვე სწრაფად და გარკვევით შემდეგი ბგერების წარმოთქმა: ა, ვ, ი, უ.

მხედველობიდან არ უნდა გამოგრჩეთ ნიკაპი, რადგანაც ამან შეიძლება გამოიწვიოს ორმაგი ნიკაპის (ღაბაბის) გაჩენა. ამის თავიდან ასაცილებლად კი ადრევე უნდა იზრუნოთ და სისტემატურად ავარჯიშოთ სახე და კერძოდ, ნიკაპი შემდეგნაირად:

1. თავი დახარეთ მკერდზე და წრიული მოძრაობით ასწიეთ მარცხნივ, შემდეგ დაუბრუნდით საწყის მდგომარეობას. მოძრაობა შეასრულეთ თავისუფლად, ისე, რომ თავი მკერდზე თავისი სიმძიმით ვარდებოდეს. გაიმეორეთ იგივე ვარჯიში მარჯვნივ. შეიძლება თავი ამოძრაოთ წრიულად. ოღონდ დაიცავით შემდეგი პირობა: თავის წრიული მოძრაობისას შეისუნთქეთ, ხოლო მისი დაშვებისას ამოისუნთქეთ.

2. ხელები დაიწყვეთ კისერზე და შეისუნთქეთ. ნიკაპი მოაბრუნეთ ჯერ მარჯვნივ, მერე მარცხნივ და ამოისუნთქეთ. ვარჯიში შეასრულეთ ნელა, ჯდომით მდგომარეობაში. შეიძლება აგრეთვე ნიკაპს ქვემოდან მიარტყათ ხელის მტევნები ან დაგრეხილი ხაოიანი პირსანოცი. პირსახოცი წინასწარ დაასველეთ ყინულიან წყალში (შეიძლება წყალს დაუმატოთ ცოტა ძმარი ან მარილი), გაჭიმეთ ორივე ხელით და შუა ნაწილში მიარტყით ნიკაპს. ეს მოძრაობა რამოდენიმეჯერ გაიმეორეთ. ყოველივე ზემოხსენებულთან ერთად, თავი ყოველთვის პირდაპირ, ყელმოღერებით, ნიკაპის რამდენადმე აწეულ მდგომარეობაში უნდა გეჭიროთ. ასე. უფრო ახალგაზრდა გამოიყურება ქალი.

სახის ვარჯიშია აგრეთვე ცხელი და ცივი წყლის მორიგეობით შესხურება, რაც სახეზე სისხლის მიმოქცევას აუმჯობესებს. სისხლის მიმოქცევის მოწესრიგება შეიძლება ცხელი და ცივი საფენებითაც (თითო წუთის მორიგეობით), ასევე რეკომენდებულია სახის მასაჟი. მაგრამ მასაჟი თქვენ თვითონ არ უნდა გაიკეთოთ, შეიძლება ვერ დაიცვათ საჭირო სიფრთხილე და კანი დაიზიანოთ — გაიჩინოთ ნაოჭები. მასაჟს აკეთებს სპეციალისტი ექიმი სათანადო კოსმეტიკურ დაწესებულებაში.

მიმი ღოლოგერიძე,
ექიმი-კოსმეტოლოგი.

კულინარია

ბარბოზილის ბუკეტი

ზამთრის სალათი

მ ა ს ა ლ ა: 500 გრ კარტოფილი, 2 სუფრის კოვზი ზეთი, 1 სუფრის კოვზი ძმარი ან 1 ცალი ლიმონის წვენი, 1 ნაჭერი შაქარი.

დ ა მ ზ ა დ ე ბ ა: კარტოფილი მოხარშეთ კანში, გაფცქვენით ცხელი, გაცივებული დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად. ძმარში ან ლიმონის წვენში გახსენით შაქარი და ზევიდან მოასხით, ასევე მოასხით ზეთიც.

სალათს არომატს შემატებს, თუ ჭურჭელს, რომელშიც ის უნდა მოათავსოთ, წინასწარ წაუსვამთ დანაყილ ნიორს. სალათს შეიძლება დაემატოს წვრილად დაჭრილი ხახვი და მოესხას არაჟნისაგან დამზადებული საწებელიც.

დახაწყისი იხ. „საქართველოს ქალი № 2.

ამ შემთხვევაში მარილი გახსენით 1 სუფრის კოვზ ძმარში ან ლიმონის წვენში, დაამატეთ ათქვეფილი კვერცხის გული და 1-2 ჩაის ჭიქა არაჟანი.

სალათს შეგიძლიათ მოასხათ ნიგვზიანი საწებელიც.

ნიგვზიანი საწებელის დასამზადებლად დაგჭირდებათ: 1 ჩაის ჭიქა ნიგოზი, 2 თავი ხახვი, 2 კბილი ნიორი, 3 ძირი ქინძი, 1 ძირი კამა, წითელი წიწაკა და მარილი.

ნიგოზი, წიწაკა, მწვანილი, ნიორი მარილთან ერთად დანაყეთ. დაამატეთ წვრილად დაჭრილი ხახვი. ყველაფერი ეს გახსენით ძმარში (რომელსაც შეგიძლიათ ადუღებული წყალი შეურიოთ) და განაზავეთ გემოვნების მიხედვით.

ცხარე სალათი

მ ა ს ა ლ ა: 300 გრ მოხარშული კარტოფილი, 1 მჟავე კიტრი, 1 ცალი ბულგარული წიწაკა, 1 მაგრად მოხარშული კვერცხი, 1/2 ჭიქა მაიონეზი, 1 ჩაის კოვზი მდოგვი.

დ ა მ ზ ა დ ე ბ ა: კარტოფილი კანით მოხარშეთ, გათალეთ, ცივი დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ხოლო კიტრი, წიწაკა და კვერცხი — წვრილ-წვრილად. ყველაფერი ეს ერთმანეთში შეურიეთ. მოასხით მაიონეზი, დაამატეთ მდოგვი. სურვილის მიხედვით შეგიძლიათ მიუმატოთ 1 თავი გახეხილი ხახვი.

თუ სალათს მაიონეზს არ მოასხამთ, მაშინ ნიგვზის ბაჟე გამოიყენეთ.

მაიონეზის მომზადება

მ ა ს ა ლ ა: 100 გრ მზესუმზირას ზეთი, 1 უმი კვერცხის გული, 1/2 ლიმონის წვენი ან 2 სუფრის კოვზი ნატურალური ძმარი, 1 ჩაის კოვზი არაჟანი.

დ ა მ ზ ა დ ე ბ ა: კვერცხის გული კოვზით მოსრისეთ, ზევიდან წვეთ-წვეთობით ასხით ზეთი და შეუჩერებლივ ურიეთ ერთი მიმართულებით, როცა მიღებული მასა შესქელდება, წვეთ-წვეთობით მოასხით ძმარი და დასასრულს არაჟანი. დამზადებისას თუ აიჭრა მაიონეზი, დაამატეთ 2-3 წვეთი ცივი წყალი, ცოტახანს ურიეთ, აჭრილობა გაივლის.

სალათში შეგიძლიათ იხმაროთ ნაყიდი მაიონეზიც.

კარგოფილის სალათი მოხარშული კვერცხით

მ ა ს ა ლ ა: 4-5 ცალი კარტოფილი, 3-4 ცალი მაგრად მოხარშული კვერცხი (1 კვერცხი გასაფორმებლად).

დ ა მ ზ ა დ ე ბ ა: კარტოფილი, კანით მოხარშეთ, გაფცქვენით, დაჭერით საშუალო ზომის ნაჭრებად, ხოლო მაგრად მოხარშული კვერცხი — წვრილ-წვრილ ნაჭრებად.

სასალათეში კარტოფილი და კვერცხი ფენა-ფენად ჩააწყეთ. ფენებს შორის წვრილად დაჭრილი ხახვი და ოხრახუში ჩაატანეთ. ზევიდან ნიგვზისაგან დამზადებული ბაჟე მოასხით და კვერცხით და მწვანილით გააფორმეთ.

კარგოფილი ხაჭოთი

მ ა ს ა ლ ა: 4 ცალი კარტოფილი, 1/2 კგ ხაჭო, 2 ცალი კვერცხი, მარილი, 3/4 ჭიქა რძე, 1 1/2 სუფრის კოვზი კარაქი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

დ ა მ ზ ა დ ე ბ ა: ხაჭო კოვზით მოსრისეთ, მარილი მოაყარეთ, კვერცხი დაათქვიფეთ, მოასხით რძე. კვლავ ურიეთ.

ცალკე მრგვალ-მრგვალ ნაჭრებად შეწვით კარტოფილი, შეურიეთ შეზავებულ ხაჭოს. მასა კარაქწასმულ ჩუდოში ან გაზქურის ლასტზე მოათავსეთ. გვერდებზეც კარაქის პატარა-პატარა ნაჭრები შემოუწყეთ. ზევიდან ათქვეფილი კვერცხი მოასხით და ისე გამოაცხეთ.

კარგოფილის ღვეზელი

მ ა ს ა ლ ა: 4 ცალი დიდ-დიდი კარტოფილი, 4-5 სუფრის კოვზი კარაქი, მარილი, 4 კვერცხი, 6 სუფრის კოვზი შაქარი, 4 სუფრის კოვზი ორცხობილას ფხვნილი, 1/2 ჭიქა არაჟანი, ცოტა სოდა, ვანილი და გახეხილი ლიმონის ცედრა.

გარეცხილი კარტოფილი კანიანად გამოაცხეთ, მერე კანი გააცალეთ, მოსრისეთ. ცალკე კარაქი კარგად მოსრისეთ და კარტოფილს შეურიეთ. ზევიდან კვერცხის გული დაათქვიფეთ (კვერცხის გულს მარილი უყავით), დაუმატეთ შაქარი, ლიმონის ცედრა, სოდაში შერეული ორცხობილას ფხვნილი, არაჟანი. ამის შემდეგ კვერცხის ცილა ათქვიფეთ, ზევიდან მოასხით და მსუბუქად აურიეთ. მიღებული მასა მოათავსეთ წინასწარ კარაქწასმულ და ორცხობილას ფხვნილმოყრილ ლასტზე. გამოაცხეთ საშუალო ცეცხლზე (გაზქურაში გააჩერეთ 50-60 წუთი).

ც. ელიგულაშვილი,
ლ. პაიჭაძე.

გ ა რ ე კ ა ნ ზ ე—აზერბაიჯანელი მხატვრების ნამუშევართა რეპროდუქციები

რედაქტორი თ. აბაშმაძე.	სარედაქციო კოლეგია: **მ. ბარათაშვილი ე. ბაღდავაძე, მ. კალანდაძე** (პ. მგ. მდივანი), **თ. ლაშქარაშვილი, ბ. მჭედლიძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ნ. ჯავახიშვილი.**	**საქ. კპ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა**

მხატვრული რედაქტორი ლ. შენგელია, ტექრედაქტორი ქ. დ ე მ უ რ ო ვ ა.

რედაქციის მისამართი — სულხან-საბას ქ. № 15. ტელ. 9-98-71. **ფიზ. ფორმ. რაოდ. 1,75. პირობით ფორ. რაოდ. 5,8.**

ხელმოწერილია დასაბეჭდად 14/III 64 წ. ქაღალდის ზომა 60×92. ტირაჟი 50.000. შეკ. № 525, უე 04159, **ფასი 30 კაპ.**

საქ. კპ. ცკ-ის გამომცემლობის სტამბა № 1, ლენინის ქ. № 14.

Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал «Сакартвелос кали».

Издательство ЦК КП Грузии.

ეგზოტიკური საჭმელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოზბაში

ცხვრის მკერდის, კისრის ან ბეჭის ხორცს ჩამოაჭერით 2-3 ნაჭერი, წონით 60-80 გრ. 30 გრ ოქროცერცვა გაარჩიეთ და 3-4 საათით ცივ წყალში დაალბეთ. შემდეგ ხორცი და ოქროცერცვა ჩაყარეთ ქვაბში, დაასხით ცივი წყალი და ხარშეთ 1,5-2 საათს. ხარშვისას ბულიონს ქაფი მოხადეთ ქაფქირით. მოხარშვამდე 20 წუთით ადრე ჩაყარეთ 25 გრ დაჭრილი ხახვი და 100 გრ კარტოფილი, ჩაასხით ცოტა ტომატი. ბოზბაში რომ მზად იქნება, ცეცხლიდან გადმოღვინთ, გააცივეთ და სუფრაზე მიტანის წინ მოაყარეთ გამხმარი პიტნა.

ზაფხულში ბოზბაშს ტომატის მაგივრად უკეთებენ პამიდორს.

ვაზის ფოთოლში გახვეული ყოლმა

ცხვრის ბეჭის ან უკანა ბარკლის ჩამონაჭერი რბილი ხორცი დუმასთან და ხახვთან ერთად გაატარეთ საკეპ მანქანაში. ფარშს შეურიეთ წვრილად დაჭრილი ქინძი, კამა, მარილი, წიწაკა, გარჩეული და გარეცხილი ბრინჯი, ცივ წყალში წინასწარ დამბალი და დაჩურჩული ოქროცერცვა. ყველაფერი კარგად აურიეთ ერთმანეთში.

გადაარჩიეთ სატოლმედ ვაზის ფოთლები, მოაჭერით ღეროები და გათუთქეთ მდუღარე წყალში. დამწნილებული ვაზის ფოთლებიც ნახევრად მოწალეთ. გაიანგარიშეთ 12 ცალი ტოლმა ულუფაზე და თითეულზე. ფოთოლში შეახვიეთ გამზადებული ფარში, საშუალოდ 25 გრ ერთ ტოლმაზე. შემდეგ ტოლმა ჩაალაგეთ ქვაბში, დაასხით ბულიონი და ზევიდან დაფარეთ თეფში. ხარშეთ ნელ ცეცხლზე დაახლოებით 50-60 წუთს.

მიტანის წინ ტოლმას დაასხით თავისივე წვენი (25 გრ ულუფაზე), მოაყარეთ დანაყული დარიჩინი და გამხმარი პიტნა. ცალკე მიიტანეთ მაწონი.

შენიშვნა: ტოლმასთან ერთად სუფრაზე შეიძლება მიიტანოთ ავგვოვე დანაყილ ნიორთან შერეული მაწონი.

ღულა-ქაბაბი

ცხვრის ბეჭის ან უკანა ბარკლის ნაწილს ჩამოაჭერით რბილი ხორცი და ხახვთან ერთად გაატარეთ საკეპ მანქანაში. ფარშს მოაყარეთ მარილი, წიწაკა და კარგად მოზილეთ. ამის შემდეგ, გამზადებული ფარში ოციოდე წუთით შედგით მაცივარში. მერე ფარში შამფურზე წამოაცვით, ქაბაბს მიეცით მოგრძო ფორმა და ულუფაზე იანგარიშეთ 3-დან 6 ცალამდე ქაბაბი (45 გრ თითოეული). შემდეგ ღულა-ქაბაბი მაყალზე შეწვით გახურებულ ნაკვერჩხალზე, დროდადრო შამფური ღერძის ირგვლივ ატრიალეთ, რომ ხორცი ერთნაირად შეიწვას.

ლავაშის გამოსაცხობად ფქვილი გაცერით, დაასხით წყალი, უყავით ცოტა მარილი და მაგრად მოზილეთ, გაათხელეთ ისე, რომ სისქე 1 მმ ჰქონდეს, ხოლო სიფართე მათლაფის წრეხაზის ტოლი. ლავაში ორივე მხრიდან გამოაცხვეთ, უცხიმოდ.

სუფრაზე მიტანის წინ ღულა-ქაბაბი ჩადეთ ლავაშში, მასთან ერთად გარნირად მიაჩინეთ. რგოლებად დაჭრილი ხახვი, თუთუბო ან კოწახური, ან შამფურზე შემწვარი პამიდორი.

მიღაფღავი

ცხვრის ხორცი დაჭერით ნაჭრებად და მოხარშეთ. ხარშვის დასასრულს უყავით მარილი. ბულიონი გაწურეთ დაუმატეთ მოშუშული ხახვი, ზაფრანა, ოხრახუში, წიწაკა, მარილი, გარეცხილი ბრინჯი და მოხარშეთ. მიტანის წინ ფლავს ზემოდან მოალაგეთ ხორცი და მოაყარეთ დაკეპილი მწვანილი.

ამ სახის ფლავი არ უნდა იყოს ფხვიერი, იგი უნდა იყოს ცოტა წებოვანი



ჩაი

მაგარი და არომატული ჩაის დასამზადებლად ჩაი ფაიფურის ჩაიდანში მოხარშეთ. ყოველი მოხარშვის წინ ჩაიდანი ცხელი წყლით გამორეცხეთ და ისე ჩაყარეთ შიგ ჩაი. მერე მას ადუღებული წყალი დაასხით, დაახლოებით ჩაიდნის ერთი მესამედი და ნელ ცეცხლზე შედგით 5 წუთით. ცალკე ადუღებული წყალი ჭიქას 150-160 სმ³ ზომით დაასხით და დაუმატეთ 40-50 სმ3 ნახარში ჩაი.

ჩაი მიიტანეთ ჩვეულებრივი ან სპეციალური ჭიქებით — „არმუდებით". საშაქრით ან მურაბის ლამბაქებით მიიტანეთ წვრილნაჭრებად დამტვრეული შაქარი



ხაღვა

ერბო დადეთ ტაფაზე და გააცხელეთ, დაუმატეთ გაცრილი პურის ფქვილი და შეწვით, ვიდრე გაოქროსფერდება. მერე ტაფა ქურის ბოლოში გადაიტანეთ და დაასხით ბადაგი (დოშაბი) და ისევ გააცხელეთ განუწყვეტლივი მორევით.

ბადაგი შეიძლება შაქრითაც შეცვალოთ. ამ შემთხვევაში შაქარი ცხელ წყალში გახსენით. ხალვა შეიძლება იყოს ფენოვანი ან თანაბრად ფხვიერი. შემდეგ გამზადებული ხალვა დაალაგეთ თეფშებზე, შეუსწორეთ გვერდები და ზევიდან მოაყარეთ დარიჩინი.

შენიშვნა: ხალვის დასამზადებლად უნდა ვიხმაროთ ერბო, ვინაიდან სხვა ცხიმი აფუჭებს მის გემოს და უკარგავს ელასტიურობას. ბადაგი შეიძლება თაფლითაც შეიცვალოს. ამ შემთხვევაში ხალვის ხარისხი მაღლდება.

100 გრ ხალვის მოსამზადებლად საჭიროა: ფქვილი უმაღლესი ხარისხის — 20 გრ, ერბო — 20 გრ, ბადაგი (დოშაბი) — 25 გრ ან შაქარი — 20 გრ, დარიჩინი — 0,2 გრ.

ИНДЕКС 76177
ერაუნული
ბიბლიოთეკა



ვ. სამეფოვა. ინჟინერ-ბეოლოგის პორტრეტი

რ. ბაბაევი. ნავთობის ჩამოსხმა

ტ. სალახოვი. მერემონტიები